საჯარო ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 36-ე წელი № 162 (10248) | კვირა, 10 ივლისი, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

## საამქროს პარტიული ორგანიზაცია

Კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა უდიდეს ღონისძიებებს ახორციელებენ მეტალურგიის, ქვანახშირისა და ნავთობის მრეწველობის, ენერგეტიკის, მანქანათმშენებლობის ახალი მძლავრი აღმავლობისათვის, მთელი მრეწველობის მუშაობის გაუმჯობესებისათვის და ამ ბაზაზე მშრომელთა კეთილდღეობის ასამაღლებლად ფართო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდებისათვის.

მძიმე ინდუსტრიის ყოველი ღონისძიებით აღმავლობისა და მთელი სახალხო მეურნეობის განვითარებისათვის ბრძოლაში უაღრესად დიდია პირველადი პარტიული ორგანიზაციების როლი. მრეწველობის მუშაკთა წინაშე მდგომი ამოცანების წარმატებით გადაწყვეტის ინტერესები მოითხოვს შემდგომ განვამტკიცოთ საწარმოთა პირველადი პარტიული ორგანიზაციები და ავამაღლოთ მათი ბრძოლისუნარიანობა, განუწყვეტლივ ვზარდოთ ყველა კომუნისტის აქტივობა და შემოქმედებითი თაოსნობა.

საწარმოში პარტიულ-პოლიტიკური და ორგანიზაციული საქმიანობის მაღალ დონეზე დაყენება, კომუნისტების ავანგარდული როლის ამაღლება და მასებზე მათი გავლენის გაძლიერება დიდად არის დამოკიდებული საამქროს პარტიული ორგანიზაციების ცოცხალ, შინაარსიან მუშაობაზე.

საამქროს პარტიული ორგანიზაცია საერთო-საწარმოო პირველადი პარტორგანიზაციის შემადგენელი ნაწილია. იგი მოწოდებულია აქტიური მონაწილეობა მიიღოს საწარმოს ეკონომიურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, მთელი თავისი საქმიანობა წარმართოს იმ მოთხოვნების შესაბამისად, რომლებსაც სკკპ წესდება პირველადს პარტიულ ორგანიზაციას უყენებს. თბილისის მთელ რიგ მსხვილ საწარმოებში, სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიულ ქარხანაში, ტყიბულისა და ტყვარჩელის შახტებში, ქუთაისის საავტომობილო ქარხანაში, რესპუბლიკის ბევრ დაწესებულებასა და უმაღლეს სასწავლებელში საამქროების, უბნებისა და განყოფილებების მიხედვით შექმნილია პარტიული ორგანიზაციების ფართო ქსელი. სკკპ წესდებით განსაზღვრულია, რომ საწარმოებში, დაწესებულებებში, კოლმეურნეობებში და სხვ., სადაც საერთო პირველადს პარტიულ ორგანიზაციაში პარტიის 100-ზე მეტი წევრი და კანდიდატია, შეიძლება მოეწყოს, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში რაიკომის, საქალაქო კომიტეტის დამტკიცებით, საამქროების, უბნების, განყოფილებების და სხვ. პარტიული ორგანიზაციები. მსხვილ საწარმოებსა და დაწესებულებებში, სადაც პარტიის 300-ზე მეტი წევრი და კანდიდატი ითვლება, შეიძლება, ყოველ ცალკე შემთხვევაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნებართვით, შეიქმნას პარტიული კომიტეტები, ამ საწარმოთა და დაწესებულებათა საამქროს პარტიული ორგანიზაციებისათვის პირველადი პარტორგანიზაციის უფლებათა მინიჭებით.

ადამიანებთან მუშაობა, მასების პოლიტიკური აღზრდა, მთელი კოლექტივის დარაზმვა საწარმოო დავალებათა შესრულებისათვის საბრძოლველად მთავარია საამქროს პარტიული ორგანიზაციის საქმიანობაში. მისი უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა შეუნელებელი კონტროლი დააწესოს ცალკეული უბნის, ბრიგადის მუშაობაზე, განუწყვეტლივ იზრუნოს მუშა-მოსამსახურეთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაუმჯობესებისათვის, დროზე შეამჩნიოს ნაკლოვანებანი და იბრძოლოს ამ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის.

ამის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს თბილისის 26 კომისრის სახელობის მანქანათმშენებელი ქარხნის მექანიკური საამქროს პარტიული ორგანიზაციის საქმიანობა. გასული წლის უკანასკნელ თვეებში მექანიკური საამქრო ცუდად მუშაობდა, სისტემატურად ვერ ასრულებდა ახალი დაზგების გამოშვების დავალებას. ჩამორჩენის ძირითადი გამომწვევი მიზეზი იყო იერიშობანა. ქარხნის კომუნისტებმა მწვავედ გააკრიტიკეს საამქროს სამეურნეო ხელმძღვანელები და პარტიული ორგანიზაცია, დაეხმარენ მათ ჩამორჩენის გამოსასწორებლად კონკრეტულ საქმიან ღონისძიებათა შემუშავებაში. საამქროს კომუნისტთა კრებამ გამოამჟღავნა ცუდი მუშაობის მიზეზები და დასახა გზები ჩამორჩენის გამოსასწორებლად. დიდი მუშაობა იქნა გაწეული ბრიგადების განსამტკიცებლად კადრებით, საამქროში პოლიტიკური აგიტაციის გასაუმჯობესებლად. პარტიულ კრებებზე რეგულარულად განიხილავდნენ საამქროს ცალკეულ ხელმძღვანელთა ანგარიშს. პარტიულმა ორგანიზაციამ კომუნისტები და კომკავშირელები, მთელი კოლექტივი დარაზმა შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის საბრძოლველად. ყველა მუშა ჩაება სოციალისტურ შეჯიბრებაში. კომუნისტები მაღალნაყოფიერი შრომის შესანიშნავ ნიმუშებს იძლევიან. ამჟამად მექანიკური საამქრო ერთ-ერთი მოწინავეა ქარხანაში. საამქროს პარტიული ორგანიზაცია ყოველდღიურად აძლიერებს კომუნისტების აქტივობას, სწორად ანაწილებს ძალებს გადამწყვეტ საწარმოო უბნებზე, მთელ ყურადღებას წარმართავს არსებული რეზერვების სრულად გამოყენებისა და შრომის ნაყოფიერების ამაღლებისაკენ, ტექნიკური პროგრესის დანერგვისა და შრომის დისციპლინის განმტკიცებისაკენ, თვითეული უბნის, ბრიგადისა და მუშის მიერ საწარმოო დავალებების ყველა მაჩვენებლის მიხედვით შესრულებისაკენ.

გამოცდილება მოწმობს, რომ საამქროს პარტიული ორგანიზაციის წარმატება დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად მჭიდროდ არის იგი დაკავშირებული საამქროს სამეურნეო ხელმძღვანელებთან, როგორ აქტიურად აბამს პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებს დასახული ამოცანების განხორციელებისათვის ბრძოლაში. სწორედ ასე წარმართავს თავის საქმიანობას ტყიბულის ლენინის სახელობის შახტის პირველი უბნის პარტიული ორგანიზაცია. აქ საქმიან ვითარებაში და კომუნისტთა აქტიური მონაწილეობით განიხილავენ საწარმოო დავალებათა შესრულების, პოლიტიკური სწავლების, სააგიტაციო-მასობრივი მუშაობის, სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობისა და სხვა საკითხებს. უბნის კოლექტივი დიდი გადაჭარბებით ასრულებს ქვანახშირის ამოღების დავალებას.

მაგრამ ყველა საუბნო პარტიული ორგანიზაცია ასე როდი მუშაობს. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ ამავე შახტის მეხუთე უბნის პარტიული ორგანიზაცია. ამ უბნის კოლექტივს უკანასკნელი 15 თვის განმავლობაში არც ერთხელ არ შეუსრულებია საწარმოო დავალება. კომუნისტებმა წელიწადზე მეტი ხნის მანძილზე მხოლოდ ერთხელ განიხილეს საწარმოო საკითხი და მაშინაც ზერელე დადგენილების მიღებით დაკმაყოფილდნენ. ეს ფაქტი მოწმობს, რომ შახტის პირველადი პარტორგანიზაცია ჯერ კიდევ ნაკლებად ზრუნავს საუბნო პარტიული ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესებისათვის, ჯეროვან დახმარებას არ უწევს მათ.

საამქროს პარტიული ორგანიზაციების აქტივობის გაძლიერება, მათი მუშაობის დონის ამაღლება პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა. ამ მხრივ საყურადღებოა პარტიის თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის საქმიანობა. რაიკომს ყოველდღიური, ცოცხალი კავშირი აქვს საამქროს პარტიულ ორგანიზაციებთან. რაიონული კომიტეტის მუშაკები სისტემატურად უწევენ ინსტრუქტაჟს საამქროს პარტორგანიზაციების მდივნებს, მათ დასახმარებლად აწყობენ სემინარებს და გამოცდილების ურთიერთგაზიარებას.

დიდია საამქროს პარტორგანიზაციის როლი და მნიშვნელობა ძირეული პარტიული ორგანიზაციების ცხოვრებაში. საამქროს პარტიული ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესება, მასებზე მათი გავლენის ზრდა სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში ახალ წარმატებათა მოპოვების უმნიშვნელოვანესი პირობაა.

## შეასრულეს ჩაის ფოთლის ჩაბარების წლიური გეგმა

ბაქო, 9 ივლისი. (საკდესი). გუშინ აზერბაიჯანის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა ვადაზე მნიშვნელოვნად ადრე შეასრულეს ჩაის მწვანე ფოთლის ჩაბარების წლიური გეგმა. გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით დამზადებულია 800 ტონით მეტი ფოთოლი. ბევრი მეურნეობა ჰექტარზე იღებს ორ და მეტ ათას კილოგრამ ფოთოლს — თითქმის ერთიორად მეტს, ვიდრე გათვალისწინებულია გეგმით.

## სსრ კავშირში ჩამოვიდა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია

ირკუტსკი, 9 ივლისი. (საკდესი). დღეს ულან-ბატორიდან ირკუტსკში ჩამოვიდა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია, რომელიც მოსკოვს მიემგზავრება. დელეგაციას მეთაურობს პრეზიდენტი ხო ში მინი. დელეგაციას აეროდრომზე შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ნ. მ. პეგოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგის თანაშემწე კ. ა. კოჩეტკოვი, ირკუტსკის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ნ. ს. პატროვი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ირკუტსკის საოლქო კომიტეტის მდივნები ს. ნ. შჩეტინინი, ზ. ე. შჩერბინა, ირკუტსკის საოლქო აღმასკომის თავმჯდომარის მოადგილე ა. ფ. ტრუსკოვი, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ირკუტსკის საქალაქო კომიტეტის მდივანი ა. ს. ანტიპოვი, ქალაქის მშრომელთა მრავალი წარმომადგენელი.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციას აგრეთვე შეხვდა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში ნგუენ ლონგ ბანგი.

შეხვედრის დროს ჩამწკრივებული იყო საპატიო სამხედრო ყარაული, შეასრულეს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნები. პიონერებმა ყვავილების თაიგულები მიართვეს სტუმრებს.

ქალაქ ირკუტსკის მშრომელთა სახელით საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ნ. ს. პატროვი მხურვალედ მიესალმა პრეზიდენტს ხო ში მინსა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის წევრებს სსრ კავშირში ჩამოსვლის გამო. მან თავისი სიტყვის დასასრულს თქვა: „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება, ძვირფასო ამხანაგო ხო ში მინ!".

პრეზიდენტმა ხო ში მინმა საპასუხო სიტყვა წარმოთქვა რუსულ ენაზე. მან თქვა:

— ძვირფასო ამხანაგებო, მეგობრებო!

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია გულწრფელ მადლობას უძღვნის ყველა თქვენგანს იმ მხურვალე შეხვედრისათვის, რომელიც მას მოუწყვეთ.

გთხოვთ მიიღოთ გულითადი სალამი ვიეტნამელი ხალხისა, რომელიც დიდ წარმატებას უსურვებს ყველა თქვენგანს კომუნიზმის მშენებლობის დიად საქმეში საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას!

გაუმარჯოს ვიეტნამელი და საბჭოთა ხალხების მეგობრობას!

გაუმარჯოს მშვიდობას მთელ მსოფლიოში!

გაუმარჯოს კომუნიზმს!

დამსწრენი მქუხარე ტაშით ხვდებიან ხო ში მინის სიტყვას.

პრეზიდენტი ხო ში მინი მიდის პიონერთა ჯგუფთან, რომლებმაც ყვავილები მიართვეს დელეგაციის წევრებს, და ეუბნება მათ: „პიონერებო, იყავით მზად!".

პასუხად ერთსულოვნად გაისმის ბავშვთა ხალისიანი ხმები: „მუდამ მზად ვართ!"

აეროდრომსა და აეროპორტის ახლო მოედანზე გაისმის მქუხარე ტაში ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის გმირი ხალხის პატივსაცემად. ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია და მისი თანმხლებნი პირნი ქალაქში მიდიან. ქუჩებში პრეზიდენტ ხო ში მინს გულითადად მიესალმა ირკუტსკის ათასობით მცხოვრები.

# საბჭოთა საქართველოს დღე

* * *

## პურის ყანებში

გუგუნით მიჰქრის მანქანა
მართლაც გულმარდი რამ არი
მთებში გაჭრილი გზა უყვარს
მხრებში გაშლილი ტრამალი,
ველს ერთი სუნთქვით გადიფრენს
ნიავქარივით ფრთამალი!

სოფლიდან სოფელს მტკვრისპირად
უგია ფართო ფერდობი,
მტრობით ათასჯერ დამწვარი,
ამწვანებული ერთობით! —
ყოველ სახლკართან მივდივარ,
თვალს მარტო როდი ვენდობი!

ცისკარი მკერდით გავალე,
ქართლის ვრცელ ველზე გაველი,
ვერხვის ხეები შემომხვდნენ,
ისევ ცად მოქანავენი,
გაველ და ყანებს გავხედე:
დაუსხამთ ოქროს თაველი!

წითელ ყაყაჩოდ აქა-იქ
წითელი დროშა ფრიალებს,
ჩიტებად ჩათვლი შორიდან
ჩითისფერ თავსაფრიანებს, —
გუნდი და გუნდი ფრთებგაშლით
კომბაინს თავს დასტრიალებს...

ვხედავ, მკათათვის დღეებმა
მტკვრისპირი როგორ გადაწვეს,
ხესაც კი ჩრდილი გაექცა
თრთოლვით რომ წყალზე
გადაწვეს, —
მაგრამ ხელმარჯვე ბიჭები
სიმღერით დახვდნენ მკათათვეს!

მთელი სოფელი ერთბაშად
ყანის აღებას ეცადა,
და როცა პური მომკილი
მიჰქროდა გასალეწადა,
ხორბლით ავსებულ მანქანას
უკვე გზად გასვლა ეწადა...

და აი, მიწას ნაწვერალს
კვლავ არხის წყალი სწყურია,
ეს არის პური აიღეს,
და ისევ გადახნულია,
თითქოს ზაფხული კი არა —
მეორე გაზაფხულია!

გულუხვო ყანავ, მომკილო,
ხელახლა მიწანაყარო,
არ მითხრა, აქ რას დადიხარ,
ჩვენთვის ისეთი რა ხარო,
თქვენი ახალი ამბავი
ქვეყანას მინდა ვახარო!

კარლო კალაძე.

*მოწინავეთა გამოცდილება — მასებს*

## მჭრელი იარაღების კონსტრუქციის შეცვლით

20 წელზე მეტია, რაც მღარველად ვმუშაობ და მონდომებით ვიმაღლებ თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას. წარმოებისაგან მოუწყვეტლივ დავამთავრე საშუალო სკოლა, სისტემატურად ვკითხულობ ტექნიკურ ლიტერატურას, მაქვს საკუთარი ბიბლიოთეკა. ცოდნა, რომელსაც ამ წიგნებიდან ვიძენ დიდად მეხმარება დეტალების დამუშავების ტექნოლოგიის სრულყოფასა და ახალი, მოწინავე მეთოდების დანერგვაში.



სერგო ნაზარიკოვი

ჩვენს საამქროში მზადდება რთული და ზუსტი ინსტრუმენტები — საჭრისები, სამარჯვი მოწყობილობა და სხვ. ამ შრომატევად სამუშაოთა შესამსუბუქებლად დავნერგე ზოგიერთი ტექნიკური სიახლე — შევცვალე მჭრელი იარაღების კონსტრუქცია და შევამცირე გათვალისწინებული ოპერაციების რიცხვი, რამაც შესაძლებლობა მომცა გამეუმჯობესებინა პროდუქციის ხარისხი და გამედიდებინა მისი გამოშვება. მოგითხრობთ ზოგიერთ ტექნიკურ სიახლეზე და მათ შედეგებზე.

ხშირად მიხდება უნივერსალურ ჩარხზე შპონური ფრეზებისა და საღრუე ნამზადების ღარვა. ამ ინსტრუმენტების მჭრელ კბილებს რთული მრუდხაზობრივი პროფილი უნდა მივცეთ. შპონური ფრეზის დამზადებისას ჯერ წარმოებს ხრახნული ღარაკების გაყვანა, შემდეგ კი ფრეზის ქუსლის დამუშავება. ამ ოპერაციისათვის ხელახლა უნდა დავამაგროთ ნამზადი დამყოფი სათავის ცენტრებსა და უკანა ვეგებზე და მოვნახოთ ცილინდრული ლენტი. ეს დიდ პრაქტიკულ გაწაფულობასა და ზედმეტ დროს მოითხოვს. განვიზრახე ორივე ოპერაციის გაერთიანება. ამისათვის შევიმუშავე მჭრელი იარაღის ახალი კონსტრუქცია და მოკლე ხანში დავამზადე იგი. ამან საშუალება მომცა ორივე ოპერაცია ერთად შემესრულებინა და შრომატევადობა ორჯერ და უფრო მეტად შემემცირებინა. ახალი ინსტრუმენტის შემდგომი სრულყოფის შედეგად ახლა ერთი განსაზღვრული ზომის შპონური ფრეზის ნაცვლად ექვსი ზომისას ვამზადებ.

ასევე დეტალის ორჯერ დადგმით ვღარავდი ადრე კუდანა ფრეზებსა და საღრუეს მომმართველი სატაცებით. წინადადება შევიტანე დავვემზადებინა ისინი კუთხიანი ორი ფრეზით. ორი ფრეზის შეერთება საშუალებას იძლევა ოპერაცია შევასრულოთ მჭრელი იარაღის ერთი გავლით. ამ სიახლეს ახლა ჩვენთან სხვა მღარველებიც იყენებენ.

დიდ შეფერხებას იწვევდა ბურღებზე ზუბანების გაჭრა, რადგან ბურღის მრუდხაზობრივი პროფილი აძნელებდა დამაგრებას გირაგზე ან დამყოფი სათავის ვაზნაზე. მე გავაკეთე მაცენტრირებელი პატარა მოწყობილობა, რომელიც ზღუდარის ცენტრში გამავალი ორი ხრახნით უზრუნველყოფს ბურღის მყარ დამაგრებას და ოპერაციის იოლად შესრულებას.

ჩემი მუშაობის პრაქტიკაში რამდენიმე ასეთი სიახლე დავნერგე და მივაღწიე პროდუქციის გამოშვების ორმაგად გადიდებას და ხარისხის საგრძნობლად ამაღლებას.

განსაკუთრებულ ყურადღებას ვაქცევ აგრეთვე ჩარხის მოვლას და სამუშაო ადგილის კარგად მოწყობას, რაც შეუფერხებელი მუშაობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა.

ს. ნაზარიკოვი,
კიროვის სახელობის თბილისის ჩარხმშენებელი ქარხნის მღარველი.

## მოსავალი ათ სამუშაო დღეში აიღეს

გარეჯუბნის რაიონის ორთაჭალის მახარაძის სახელობის კოლმეურნეობამ ათ სამუშაო დღეში დაამთავრა თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის აღება. სულ მოსავალი აღებულია 620 ჰექტარზე, აქედან ქერი — 380 ჰექტარზე. საშუალოდ ჰექტარზე გალეწილია 14,6 ცენტნერი ქერი.

კოლმეურნეობამ სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარების გეგმა ვადამდე 120,6 პროცენტით შეასრულა.

## კომბაინერთა სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურებულნი

### გუშინ საკოლმეურნეო მინდვრებზე

#### ულიანოვკის მტს-ში

მ. ძმანაშვილი მოსავალს იღებს სოფელ ბოდბის ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობაში. მას ათ დღეში მომკილი აქვს 260 ჰექტარი, ხოლო გალეწილია 3.180 ცენტნერი მარცვალი. გუშინ 22 ჰექტარი აიღო.

ი. ბაიდოშვილმა მღაროს კოლმეურნეობა „შრომაში" მომკა 260 ჰექტარი, გალეწა 3.825 ცენტნერი მარცვალი. დღეში იღებს 20-23 ჰექტარს.

გ. ბეგაშვილი წარმატებით განაგრძობს მოსავლის აღებას ბოდბის კალინინის სახელობის კოლმეურნეობაში. მომკილი აქვს 230 ჰექტარი, გალეწილია 2.739 ცენტნერი ხორბალი. გუშინ მან „სტალინეც-6" მარკის კომბაინით აიღო 19,5 ჰექტარი და თვითეულ ჰექტარზე გალეწა 25 ცენტნერი მარცვალი.

დაწინაურდა კომბაინერი ი. ხომუტოვი, რომელიც მოსავალს იღებს ულიანოვკის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობაში. დღემდე მომკილი აქვს 255 ჰექტარი, გალეწილია 3.173 ცენტნერი ხორბალი.

#### კასპის მტს-ში

მოსავლის აღების პირველ დღეებშივე დაწინაურდა კომბაინერი მ. გოჭოშვილი, რომელიც პურეულს იღებს კასპის მარქსის სახელობის კოლმეურნეობაში. ერთ დღეს მ. გოჭოშვილმა „სტალინეც-6" მარკის კომბაინით მომკა 40 ჰექტარი და გალეწა 410 ცენტნერი მარცვალი. წარმატება მოიპოვა ქვემო ხანდაკის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობაში მომუშავე მ. საყულაშვილმა. იგი ყოველდღიურად მკის 17-18 ჰექტარს.

#### სამთავისის მტს-ში

კომბაინერმა ა. ფისიშვილმა ერთ დღეს ქერის მოსავალი აიღო 17 ჰექტარზე და თვითეულ ჰექტარზე გალეწა 30 ცენტნერი. იგი მუშაობს ქვემო ჭალის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში. მოპოვებული წარმატებისათვის ა. ფისიშვილს მტს-ის გარდამავალი წითელი დროშა გადაეცა.

#### ასურეთის მტს-ში

შ. ავგაროზაშვილმა ათ სამუშაო დღეში სოფელ ბორბალოს კოლმეურნეობაში მოსავალი აიღო 216 ჰექტარზე, გალეწა 2.763 ცენტნერი მარცვალი. დღეში მკის 24-25 ჰექტარს. მას პირველს გადაეცა მტს-ის გარდამავალი წითელი დროშა.

ა. მიკირტუმაშვილმა კოდის კოლმეურნეობაში სულ მომკა 179 ჰექტარი და გალეწა 2.959 ცენტნერი ხორბალი. ამავე კოლმეურნეობაში მუშაობენ არსენ და ტიგრან დალაქიშვილები. თვითეული მათგანი დღეში მოსავალს იღებს 25 ჰექტარზე და საშუალოდ ჰექტარზე ლეწავს 17-18 ცენტნერს.

ასეთივე კარგი მაჩვენებლები აქვთ კომბაინერებს გ. ჯავახიშვილსა და ა. ლალათაშვილს. გ. ტოგონიძე და გ. გურგენიძე თვითმავალ კომბაინებზე მუშაობენ. პირველმა რვა სამუშაო დღეში მოსავალი აიღო 94 ჰექტარზე და გალეწა 1.131 ცენტნერი, ხოლო მეორემ მომკა 106 ჰექტარი და გალეწა 1.692 ცენტნერი მარცვალი.

## თათბირი კავკასიის სამთო რაიონების მიწათმოქმედების კომპლექსური მექანიზაციის საკითხებზე

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კლუბში 7 დღეს მიმდინარეობდა ზონალური თათბირი კავკასიის სამთო რაიონების მიწათმოქმედების კომპლექსური მექანიზაციის საკითხებზე. თათბირს, რომელიც მოაწყეს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების და სსრ კავშირის საავტომობილო, სატრაქტორო და სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის სამინისტროებმა, ესწრებოდნენ ჩრდილოეთ კავკასიისა და ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობის მექანიზატორები, მრეწველობისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების მუშაკები.

თათბირის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს მეცნიერებმა და მექანიზატორებმა მოსკოვიდან, ლენინგრადიდან, მოლდავეთის სს რესპუბლიკიდან, უკრაინიდან და სხვ.

თათბირი შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მეორე მდივანმა ამხ. მ. გიორგაძემ.

პლენარულ სხდომაზე მოსმენილ იქნა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დოცენტის ი. ხოხლოვის მოხსენება თემაზე „მანქანების სისტემა სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროცესების კომპლექსური მექანიზაციისათვის სსრ კავშირის მთიან რაიონებში" და ჩაის, სუბტროპიკული კულტურებისა და სამთომიწათმოქმედების მანქანების შექმნის სახელმწიფო სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს უფროსის ლ. ქურდოვანიძისა — „მანქანების სისტემა ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების მოყვანის პროცესების კომპლექსური მექანიზაციისათვის".

მოხსენებების გამო კამათში გამოვიდნენ სრულიად საკავშირო ავტოსატრაქტორო სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის პროფესორი სტალინური პრემიის ორგზის ლაურეატი ვ. სლონიმსკი, უკრაინის სსრ იალტის მტს-ის მთავარი ინჟინერი პ. შჩერბაკოვი, ერევნის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორი ს. საკიანი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორი გ. შხვაცაბაია, პროფესორი კ. მახალდიანი, აზერბაიჯანის სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარმომადგენელი სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი მ. ჯაბიევი, მოლდავეთის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პროფესორი ა. კერდივარენკო, აზერბაიჯანის სსრ მეცნიერებათა აკადემიის მიწათმოქმედების სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე ს. მამედოვი, მცენარეთა დაცვის სამხრეთის სადგურის დირექტორი ზ. თუნატოვი, ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დოცენტი შ. კერესელიძე, საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის პროფესორი რ. დვალი და სხვ.

მოხსენებებისა და კამათის შემდეგ მუშაობდა ექვსი სექცია.

შემაჯამებელ სხდომაზე მოსმენილ და განხილულ იქნა მოხსენებები სექციების მუშაობის შესახებ.

სხდომაზე გამოვიდნენ აგრეთვე ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო აკადემიის ნამდვილი წევრი ვ. ჟელიგოვსკი და სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამეცნიერო-ტექნიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ნ. პიჩუგინი.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ ამხ. ს. ვაჩეიშვილმა.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის ეზოში და კლუბის ფოიეში მოწყობილი იყო სამთო მიწათმოქმედებაში გამოსაყენებელი იარაღ-მანქანებისა და მანქანათა საკონტროლო ხელსაწყოების გამოფენა.

## მრეწველობის ამბები

(„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტებისაგან)

⊙ ლანჩხუთის ჩაის პირველი ფაბრიკის კოლექტივმა, რომელიც სოციალისტურ შეჯიბრებაშია ჩაბმული, ვალდებულება აიღო წელს გეგმის გადამეტებით გამოუშვას 50 ტონა მაღალხარისხოვანი ჩაი.

⊙ ბათუმის საზღვაო ნავსადგურის კოლექტივმა ტვირთდამუშავების ნახევარი წლის გეგმა 20 ივნისისათვის გაანაღდა. ტვირთდამუშავების მოცულობა წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გადიდებულია 34 პროცენტით.

⊙ განახლდა სოციალისტური შეჯიბრება ტყიბულქვანახშირის ტრესტის ლენინის სახელობის შახტისა და სვერდლოვუგოლის ტრესტის № 63 შახტის კოლექტივებს შორის მეხუთე ხუთწლედისა და 1955 წლის გეგმების ვადამდე შესრულებისათვის.

⊙ ხაშურის ხალიანდაგო დისტანციის კოლექტივი შეფობას უწევს ამავე რაიონის სოფელ გვერდისუბნის კოლმეურნეობას. მელიანდაგეებმა საკოლმეურნეო ფერმაში დააგეს ლიანდაგი და მოაწყეს საბაგირო გზა საკვების მიწოდების მექანიზაციისათვის. მელიანდაგეები კოლმეურნეებს ეხმარებიან აგრეთვე ნათესების დამუშავებაში.

⊙ აფხაზეთის სარეწაო კოოპერაციის საბჭოს სოხუმის არტელმა „ლითონკომბინატმა" 20 ივნისისათვის შეასრულა მეხუთე ხუთწლედი.

# ინსტიტუტი ეხმარება ქარხანას

მრეწველობის მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირის მიმართვაში აღნიშნულია, რომ ხშირად ჩვენს საწარმოებში ჯეროვან სიმაღლეზე არ არის დაყენებული ახალი ტექნიკისათვის ბრძოლა, სუსტად ინერგება მეცნიერებისა და ტექნიკის უახლესი მიღწევები, მოწინავე გამოცდილება. ასეთ მდგომარეობას სწრაფად ბოლო უნდა მოვუღოთ, გულმოდგინედ ვისწავლოთ და ფართოდ გამოვიყენოთ ჩვენი ქვეყნისა და უცხოეთის მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები, დავაჩქაროთ ტექნიკური პროგრესი.

მეცნიერებისა და ტექნიკის მუშაკები, უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებელთა მეცნიერი მუშაკები მოწოდებული არიან ქმედითი დახმარება გაუწიონ საწარმოთა კოლექტივებს ტექნიკური პროგრესის გზაზე მთელი რიგი საკითხების გადაჭრაში, მოქმედი მოწყობილობის გაუმჯობესებასა და მოდერნიზაციაში, წარმოების მიზანშეწონილად მოწყობაში.

საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მრეწველობის ეკონომიკისა და წარმოების ორგანიზაციის კათედრამ გადაწყვიტა თავისი წვლილის შეტანა მრეწველობის მუშაკთა საკავშირო თათბირის ამ მიმართვის განაღდების საქმეში და ამ მიზნით იკისრა ორი მეცნიერი მუშაკის მიმაგრება თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელ ქარხანასთან.

ნაკლოვანებათა სათავე, როგორც ეს შემდგომმა ჩვენმა მუშაობამ ცხადყო, იყო და არის წარმოების ორგანიზაციის შეუსაბამობა ქარხნის ტექნიკურ აღჭურვილობასთან, შრომის სათანადოდ მოუწყობლობა და კადრების მიერ საწარმოს ეკონომიკის არასაკმაო სიღრმით ცოდნა.

კათედრის ბრიგადამ, რომელიც ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის ვ. პიტნავასა და ამ წერილის ავტორისაგან შედგებოდა, მუშაობა დაიწყო ე. წ. „კალენდარული საგეგმო ნორმატივების დამუშავებით". ეს იმას ნიშნავს, რომ ბრიგადას უნდა დაედგინა, თუ ერთდროულად წარმოებაში რა და რა ტიპისა და რამდენი ჩარხი უნდა კეთდებოდეს, როგორი უნდა იყოს საწარმოო ციკლის ხანგრძლივობა, რა რაოდენობით უფრო მიზანშეწონილი იქნება განვსაზღვროთ დაუმთავრებელი პროდუქციის მოცულობა და ა. შ. შევუდექით აგრეთვე მუშაობას ასეთი ნორმატივების დასამუშავებლად თვითეული საამქროს მიხედვით.

ამასთან ქარხანაში კათედრიდან გაგზავნილებმა მიზნად დავისახეთ დავადგინოთ მზა პროდუქციის აწყობა-გამოშვების საქარხნო ნორმატივები და გრაფიკი, მოვაწესრიგოთ აღრიცხვა და დავსახოთ გზები შრომის ნაყოფიერების შემდგომი გადიდებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების მისაღწევად.

ყოველივე ეს, ეჭვი არ არის, დიდად დაეხმარება ამ ქარხნის კოლექტივს მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებაში, ყველა იმ ნაკლოვანებათა აღმოფხვრაში, რომლებიც ზემოთ ჩამოთვლილი საკითხების მოუწესრიგებლობით არის გამოწვეული. ისეთ დიდ საწარმოში, როგორიც კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხანაა, უწინარეს ყოვლისა საჭიროა ქარხნის მუშაობის ფაქტიური მონაცემების შესწავლა, ცალკე ნაკლოვანებათა მიზეზების ანალიზი და შემდეგ საკითხთა კომპლექსურად, ურთიერთთან კავშირში გადაწყვეტა.

კათედრის გადაწყვეტილებაა, რომ მისი წარმომადგენლები ამ დიდი მუშაობის დამთავრების შემდეგ უშუალოდ ჩაებან ცალკე საამქროთა „ვიწრო ადგილების" მოგვარებისათვის ბრძოლაში, საწარმოო ხასიათის კონკრეტული ამოცანების გადაწყვეტისათვის ღონისძიებების შემუშავებაში, შრომის მოწინავე გამოცდილების მასობრივად დანერგვისათვის ბრძოლაში.

ქარხანაში მრავალი დღის განმავლობაში მუშაობამ დაგვარწმუნა, რომ საჭიროა ქარხნის ინჟინერ-ტექნიკოსებს შორის მეტი მუშაობა წარმოების ეკონომიკის უფრო ღრმად შესწავლისათვის. არის ცნობები, რომ ასეთივე დახმარება სჭირდებათ ჩვენი რესპუბლიკის სხვა ჩარხმშენებელ და მანქანათმშენებელ ქარხნებსაც. ამასთან დაკავშირებით მიზანშეწონილად უნდა ჩაითვალოს საკითხის დაყენება იმის შესახებ, რომ საქართველოს კიროვის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან მოეწყოს მანქანათმშენებელი ინჟინერ-ეკონომისტების მომზადებაც. სანამ ეს საქმე მოწესრიგდებოდეს, საჭიროა საწარმოთა ინჟინერ-ტექნიკოსებისათვის გაიმართოს საქალაქო სემინარი წარმოების ეკონომიკისა და ორგანიზაციის საკითხებზე.

**ბ. კელენჯერიძე,**
დოცენტი, ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატი.

## ახალი მანქანების გამოცდა

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქართველოს სახელმწიფო ზონალურ მანქანათა საგამოცდო სადგურში ჩვენი დიადი ქვეყნის მანქანათმშენებელი საწარმოებიდან ყოველწლიურად მოდის ახალი მანქანები. სადგურმა თავისი არსებობის ხუთი წლის განმავლობაში 300-ზე მეტი მანქანა გამოსცადა.

ამას წინათ აქ მიიღეს სასილოსე სიმინდის ასაღები ორი ახალი კომბაინი „სკპ-4" მარკისა, რომლის კონსტრუქცია ეკუთვნის საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ინსტიტუტს, და „კსკ-2,6" მარკისა, რომლის კონსტრუქცია ეკუთვნის საბჭოთა კავშირის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ინსტიტუტს. ეს კომბაინები განკუთვნილია სიმინდის რძისებრ-ცვილისებრი სიმწიფის პერიოდში ტაროსა და ღეროს ცალცალკე ასაღებად.

ახალ კომბაინებს გამოცდიან გარდაბნის რაიონის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში, სადაც ადრე გაზაფხულზე ორ ჰექტარ ფართობზე სპეციალურად დაირგო ტორფნეშომპალიან ქოთნებში გამოყვანილი სიმინდის ჩითილი.

გადაწყვეტილია კომბაინების გამოცდა მოეწყოს ტაროების დამწიფების სხვადასხვა სტადიაში — რძისებრ და ცვილისებრ მდგომარეობაში. ეს გამოცდა უნდა დამთავრდეს მოკლე პერიოდში, რათა მიმდინარე წლის მოსავლის აღებისათვის მტს-ებს მისცენ ახალი კომბაინების პირველი პარტიები.

ამჟამად სადგურის კოლექტივი აწარმოებს კარტოფილის ასაღები ახალი მოდერნიზებული „კკრ-2" მარკის კომბაინის გამოცდას.

დამთავრდა მთის პირობებში სამუშაო ახალი ჩითილსარგავი მანქანის გამოცდა. ეს მანქანა, რომელიც ქარხანა „კრასნი აკსაის" საკონსტრუქტორო ბიუროს კოლექტივმა შექმნა, ათ საათში სამ ჰექტარ ფართობზე დარგავს თამბაქოს და პამიდორის ჩითილს.

წარმატებით ჩაიარა სიმინდის მწკრივთა შორის დასამუშავებელი კულტივატორების, შაქრის ჭარხლის კვადრატულ-ბუდობრივად სათესი მანქანისა და მთელი რიგი სხვა ახალი მანქანების გამოცდამ.

## ქუთაისელ ავტომობილმშენებელთა ახალი გამარჯვება







ქუთაისის საავტომობილო ქარხნის კონსტრუქტორთა, ექსპერიმენტატორთა და მანქანების გამომცდელთა კოლექტივმა მორიგი საწარმოო გამარჯვება მოიპოვა: სულ რაღაც თვენახევარში ააგო ახალი უნივერსალური თვითსაცლელი ავტომობილის პირველი საცდელი ნიმუში — „კაზ-602" ტიპის ავტომობილი, რომელსაც შეუძლია თავისი ძარის ავტომატურად განტვირთვა (თვითდაყირავება) — უკან, მარჯვენა მხარეს და მარცხენა მხარეს.

ასეთი ტიპის უნივერსალური თვითსაცლელი ავტომობილი პირველად ჩვენს ქვეყანაში შექმნილი. თავისი მუშაობის ავტომატიზაციის მიხედვით ეს ავტომობილი საუკეთესოდ აღიარებულ საზღვარგარეთული წარმოების ავტომობილებზე ბევრად უფრო წინ დგას.

ახალი ქუთაისური ავტომობილის დამახასიათებელია ის, რომ ტვირთამწეობით, „მკვდარი" წონით და ექსპლოატაციაში ეკონომიურობით იგი ჰგავს პოპულარულ კარბიან მოსკოვურ „ზის-150" მარკის ავტომობილს, ამავე დროს აქვს ლითონის მთლიანად შედუღებული სატვირთო პლატფორმა, მარცხნივ, მარჯვნივ და უკან მისი დასაყირავებელი მარტივად სამართავი ავტომატური მექანიზმები. სამმხრივ თვითსაცლელი ავტომობილი ბევრად გააადვილებს ავტომძღოლის მუშაობას, ააცდენს მას ავტომობილის განტვირთვისათვის რთული მანევრების მოხდენის საჭიროებას და, რაც მთავარია, დააჩქარებს ტვირთზიდვას, შეამცირებს საწვავის ხარჯს.

ამჟამად ახალი უნივერსალური თვითსაცლელი ავტომობილის — „კაზ-602" საცდელი ეგზემპლარი საქარხნო გამოცდას გადის გუმათჰესების მშენებლობაზე მეტად რთულ და მძიმე საექსპლოატაციო ვითარებაში. მშენებლები ამ მანქანას კარგ შეფასებას აძლევენ. უახლოეს დროში ქარხანა გამოუშვებს კიდევ ორ ასეთ სამმხრივ თვითსაცლელ ავტომობილს უფრო ხანგრძლივი და ყოველმხრივი გამოცდისათვის.

ამ შესანიშნავი მანქანის შექმნაზე ნაყოფიერად იმუშავეს უფროსმა ინჟინერ-კონსტრუქტორებმა ს. ბატიაშვილმა, ი. მოშიაშვილმა, კ. მოსეშვილმა, პ. კოლუაშვილმა, ქ. კილაძემ, ქარხნის საექსპერიმენტო საამქროს უფროსმა ო. თევდორაძემ, ქარხნის საწარმოო განყოფილების უფროსმა მ. პოლიევმა, ტექნოლოგებმა ამხ. ჩიტორელიძემ და ბარანეევმა, ექსპერიმენტატორებმა — ამხ. გვაზავამ, სტავრუნოვმა, ნესტეროვმა, რიბნიკოვმა, დაცკომ და ხიზოვმა.

**ვ. კრეშჩუკი,**
ქუთაისის საავტომობილო ქარხნის მთავარი კონსტრუქტორის მოადგილე.

• • •

**სურათებზე:** სამმხრივ თვითსაცლელი ახალი ავტომობილის პლატფორმის მდგომარეობა დაყირავების სხვადასხვა მომენტში.

## გამოუქვეყნებელი წერილების კვალდაკვალ

ზესტაფონის რაიონის სოფელ ქვემო საზანოს კოლმეურნეობაში საკოლმეურნეო ქონებას ანიავებენ, ცუდად არის დაყენებული შრომის ორგანიზაცია, ვენახები მოუვლელია, შრომადღეზე პროდუქტები მცირე რაოდენობით განაწილდა, — სწერდა რედაქციას სოფლკორი. წერილი „კომუნისტის" საკუთარმა კორესპონდენტმა შეამოწმა. როგორც კორესპონდენტი იტყობინება, პარტიის რაიკომის ბიურომ განიხილა სოფელ ქვემო საზანოს ბულგანინის სახელობის კოლმეურნეობაში შექმნილი მდგომარეობა. კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებას რჩევა მიეცა მოხსნას სამუშაოდან კოლმეურნეობის თავმჯდომარე ა. დევიძე. რევიზიის მასალები გადაეცა პროკურატურას კოლმეურნეობის თავმჯდომარის ა. დევიძის და სხვა დამნაშავეთა პასუხისგებაში მისაცემად.

• • •

საგარეჯოს რაიონიდან რედაქციაში გამოგზავნილ წერილში სოფლკორი ამხილებდა სოფელ საგარეჯოს მარქსის სახელობის კოლმეურნეობის მეცხვარეობის ფერმაში არსებულ დანაშაულებრივ მოქმედებას.

წერილი ზომების მისაღებად საგარეჯოს მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომს გადაეგზავნა. როგორც აღმასკომი გვატყობინებს, წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა, რისთვისაც მეცხვარეობის ფერმის გამგე მათიაშვილი და ბრიგადირები არჩუაძე, ჯავახიშვილი, დათუნაშვილი მოიხსნენ სამუშაოდან და მიცემული არიან პასუხისგებაში.

# მოძმე რესპუბლიკების გაზეთების ფურცლებზე

## ქალაქი ეხმარება სოფელს

ქალაქ კურსკის პარტიული ორგანიზაციები დიდ დახმარებას უწევენ ოლქის კოლმეურნეობებს მინდვრად მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაჩაღებაში. პარტიის ლენინის რაიკომი შეფობას უწევს ლენინის (სასოფლო) რაიონის კოლმეურნეობებს. მარტო უკანასკნელი ორი თვის მანძილზე საშეფო კოლმეურნეობებში გაიგზავნა 32 მუშაკი, რომლებიც ბრიგადებში გამოვიდნენ მოხსენებებით სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა და საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ. საშეფო კოლმეურნეობებს დაუმზადეს ბევრი ლოზუნგი, პლაკატი, პანო, რომლებიც პროპაგანდას უწევენ სოფლის მეურნეობის მშრომელთა ამოცანებს.

ფილარმონიის, საოლქო დრამატული თეატრის პარტიული ორგანიზაციების ინიციატივით რაიონის კოლმეურნეობებში მოეწყო კონცერტები.

მაგრამ ქალაქის მშრომელები, აღნიშნავს გაზეთი „კურსკაია პრავდა", მარტო მამობილიზებელი სიტყვით როდი ეხმარებიან საშეფო კოლმეურნეობებს. ისინი პირადი შრომითაც უჩვენებენ მაღალი მოსავლისათვის ბრძოლის მაგალითებს. ნათესების დამუშავებისა და ტრანშეების გათხრის კვირაობებში მონაწილეობს ქალაქის ათასობით მშრომელი. ძერჟინსკის რაიონის მუშა-მოსამსახურეებმა ვალდებულება იკისრეს მედვენკის რაიონის კოლმეურნეობებში გათხარონ და მოაპირკეთონ სიმინდის ტაროების დასასილოსებელი 58 ტრანშეა. ამჟამად ტრანშეების გათხრაზე 400-ზე მეტი კაცი მუშაობს. სარემონტო-მექანიკური ქარხნის კოლექტივმა ხრუშჩოვის სახელობის კოლმეურნეობას გაუთხარა 13 ტრანშეა.

სამშენებლო ტექნიკუმის მასწავლებლებმა, კვალიფიციურმა სპეციალისტებმა რაიონის ცენტრში მოაწყეს სემინარი კოლმეურნეობების მეცხოველეობის ნაგებობათა მშენებლებისათვის, კონსულტაცია გაუწიეს სამშენებლო ბრიგადების ბრიგადირებს.

## ხუთწლიანი გეგმა შეასრულეს

გაზეთი „კომუნისტ ტაჯიკისტანა" იუწყება, რომ ტაჯიკეთის სსრ ლენინაბადის, სტალინაბადის და კიროვაბადის მანქანა-ექსკავატორთა სადგურებმა ვადამდე შეასრულეს ხუთწლიანი გეგმა მიწის სამუშაოთა მოცულობის მიხედვით.

მიმდინარე წელს სამუშაოთა მოცულობა ხუთწლედის პირველ წელთან შედარებით ორჯერ და უფრო მეტად გაიზარდა.

ხუთწლედის მანძილზე ახალი სარწყავი სისტემების მშენებლობაზე, და გადაკეთებაზე, აგრეთვე არხების გაწმენდაზე ამ მანქანა-ექსკავატორთა სადგურებმა შეასრულეს 23 მილიონ კუბურ მეტრზე მეტი მიწის სამუშაო.

ლენინაბადის, სტალინაბადისა და კიროვაბადის მანქანა-ექსკავატორთა სადგურების კოლექტივებმა პირობა დადეს წლის ბოლომდე შეასრულონ სულ ცოტა ოთხი მილიონი კუბური მეტრი მიწის სამუშაო.

## უძველესი მუსიკალური სასწავლებელი

ჟიტომირის ვ. ს. კოსენკოს სახელობის მუსიკალურ სასწავლებელს 50 წელი შეუსრულდა. არსებობის მანძილზე სასწავლებელმა გამოუშვა ათობით ცნობილი მომღერალი, მუსიკოსი, ხელოვნებათმცოდნე. მათ შორის არიან სსრ კავშირის სახალხო არტისტი ზოია გაიდაი, ბელორუსიის სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე დირიჟორი მ. შნეიდერმანი, კომპოზიტორი მ. სკორულსკი, ახალგაზრდობის მსოფლიო ფესტივალის დიპლომანტი მოსკოვის კონსერვატორიის ასპირანტი ი. ივანოვა-ნაუმოვა, ლენინგრადის ოპერისა და ბალეტის თეატრის მსახიობი ლ. სპრავცევა, კიევის კონსერვატორიის დეკანი ნ. შჩეგოლი და სხვები.

ჟიტომირის მუსიკალური სასწავლებელი, რომელსაც სამი განყოფილება აქვს, ამზადებს მხატვრული თვითმოქმედების ხელმძღვანელებს უკრაინის კულტურის რაიონული სახლებისა და სასოფლო კლუბებისათვის. წელს სასწავლებელი დაამთავრა 56 კაცმა. ახალგაზრდა სპეციალისტების ძირითადი ნაწილი მიდის კულტურის რაიონულ სახლებში სამუშაოდ და მასწავლებლებად, ორი კურსდამთავრებული იგზავნება ყაზახეთში — ყამირ მიწებზე.

როგორც გაზეთი „პრავდა უკრაინი" წერს, სასწავლებლის იუბილე საზეიმოდ აღინიშნა ჟიტომირის საოლქო დრამატულ თეატრში. იუბილარს გულთბილად მიულოცეს ქალაქის საზოგადოებრიობის, საბჭოთა და პარტიული ორგანიზაციების, უკრაინის სსრ კულტურის სამინისტროს წარმომადგენლებმა. სასწავლებლის ათ მასწავლებელს გადაეცა უკრაინის სსრ კულტურის სამინისტროს სიგელი.

## პირველი უიღურული ოპერა

ამ დღეებში ყაზახეთის აბაის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში მოეწყო ყაზახეთის სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, სტალინური პრემიის ლაურეატის კუდუს კუჟამიაროვის ოპერის „ნაზუგუმის" საზოგადოებრივი მოსმენა. ოპერა დაწერილია უიღური მწერლის კადირ ხასანოვის ლიბრეტოს მიხედვით.

რესპუბლიკის სახალხო არტისტი სტალინური პრემიის ლაურეატი ე. ბრუსილოვსკი გაზეთ „კაზახსტანსკაია პრავდაში" წერს: პირველი უიღურული ოპერის სიუჟეტს საფუძვლად უდევს მჩაგვრელების — ხანებისა და ფეოდალების წინააღმდეგ უიღური ხალხის ბრძოლის ერთ-ერთი ეპიზოდი. ამ ბრძოლას მეთაურობს ლეგენდარული ნაზუგუმი, ძლიერი ნებისყოფის მქონე უიღური ქალიშვილი, რომელიც იღუპება თავისი ქვეყნის ბრწყინვალე მომავლისათვის ბრძოლაში.

კ. კუჟამიაროვის ოპერამ თეატრის სამხატვრო საბჭოს დადებითი შეფასება დაიმსახურა. ოპერა მიღებულია დასადგმელად.

პირველი უიღურული ოპერის შექმნა ჩვენი ქვეყნის ხალხთა ეროვნული ხელოვნების უმაგალითო აყვავების ახალი მკაფიო დადასტურებაა.

## საქართველოს მსახიობთა კონცერტი

ლატვიის სახელმწიფო ფილარმონიის დარბაზში ამას წინათ გაიმართა საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მსახიობთა კონცერტი, რომლის პროგრამის ცენტრში იყო საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტის ტატიანა მახარაძის გამოსვლა.

იუწყება რა ამ კონცერტის შესახებ, გაზეთი „სოვეტსკაია ლატვია" მაღალ შეფასებას აძლევს ტ. მახარაძის შემსრულებლობით ოსტატობას. მსმენელებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მის მიერ მოხდენილად შესრულებულმა ხალხურმა სიმღერებმა „ციცინათელამ" და „სულიკომ".

წარმატება ხვდათ აგრეთვე მომღერლებს ა. სიხარულიძეს, გ. ნასიძეს, მოცეკვავეებს გ. კოჯორაშვილს, ბ. კილანდაძეს, აკორდეონის დამკვრელს გ. ისაევს, მხატვრული სიტყვის ოსტატს ნ. ზედგინიძეს და სხვ.

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის მსახიობთა კონცერტებმა, რომლებიც ჩვენს რესპუბლიკაში გაიმართა, წერს გაზეთი, ღირსეულად დაიმსახურა მაყურებელთა მოწონება.

*რუსეთის პირველი რევოლუციის 50 წლისთავისათვის*

# თბილისის მუშათა პოლიტიკური გაფიცვა

საქართველოს მუშათა კლასი და გლეხობა ერთსულოვნად გამოეხმაურნენ 1905 წლის 9 (22) იანვარს პეტერბურგში მომხდარ სისხლიან ამბებს. რევოლუციამ საქართველოში საყოველთაო-სახალხო ხასიათი მიიღო. მეფის მთავრობა ყველა ღონეს ხმარობდა მისი ჩახშობისათვის, მაგრამ რევოლუციის შეფერხება, მისი აღკვეთა შეუძლებელი გახდა.

მკაცრი რეპრესიული ზომებით რომ ვერაფერს გახდა, მეფის მთავრობამ სცადა გაეღვივებინა ეროვნული შუღლი ამიერკავკასიის მრავალეროვან მოსახლეობაში, გაეთიშა რევოლუციის ძალები და საბოლოოდ გაენადგურებინა ისინი. თვითმპყრობელობის ძირითადი მიზანი ის იყო, რომ ერთმანეთისათვის წაესისინებინა სომხები, აზერბაიჯანელები და ქართველები და ამით ჩამოეშორებინა რევოლუციისაგან ხალხის ყურადღება. მაგრამ იგი ანგარიშში მოტყუვდა. მეფის მთავრობა წააწყდა გადაულახავ წინააღმდეგობას. ეს იყო ამიერკავკასიის ხალხთა ინტერნაციონალური დარაზმულობა, რომლისთვისაც უცხო აღმოჩნდა ყოველგვარი ნაციონალური შუღლი.

ამიერკავკასიის რევოლუციურმა სოციალ-დემოკრატიულმა ორგანიზაციებმა თავიდანვე განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის საფუძველზე ხალხთა აღზრდის საქმეს. ჯერ კიდევ რევოლუციის წინ ამიერკავკასიის პროლეტარიატი გაიმსჭვალა იმის შეგნებით, რომ „ნაციონალური კედლების დანგრევა და მჭიდროდ შეკავშირება რუსი, ქართველი, სომეხი, პოლონელი, ებრაელი და სხვა პროლეტარებისა — რუსეთის პროლეტარიატის გამარჯვების აუცილებელი პირობაა" (ი. ბ. სტალინი, თხზ. ტ. 1, გვ. 35).

პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დიდმა ძალამ განსაკუთრებით იჩინა თავი რევოლუციის პერიოდში. ი. ბ. სტალინმა პროკლამაციაში „გაუმარჯოს წითელ დროშას" შეაჯამა ბოლშევიკების მიერ თბილისში ჩატარებული მუშაობა და აღნიშნა, რომ თბილისის მუშათა ერთსულოვანმა დარაზმულობამ ჩაშალა მეფის მთავრობის იმედები. მაგრამ მეფის მთავრობა მაინც მიმართავდა ახალ ხრიკებს მზარდი რევოლუციური მოძრაობის წინააღმდეგ. მეფის მთავრობას სურდა შოვინისტური გრძნობებით ემოქმედა რუს მოსახლეობაზე და უპირველეს ყოვლისა მის მოწინავე ნაწილზე, პროლეტარიატზე. რუსმა მუშებმა, რომლებიც ამიერკავკასიის პროლეტარიატის მოწინავე ნაწილს წარმოადგენდნენ, მეფის მთავრობის ამ ანტიხალხურ პოლიტიკას ქართველ, აზერბაიჯანელ, სომეხ და სხვა ეროვნებათა მუშებთან კავშირის განმტკიცებითა და კიდევ უფრო თავგანწირული რევოლუციური ბრძოლით უპასუხეს.

მთავრობამ ვერ შეძლო რუსი მუშების მოტყუება. მაგრამ მან მოახერხა საზოგადოების სხვადასხვა წრეებიდან დეკლასირებული ელემენტების, ხულიგნების და სხვა ნაძირალათა შეგროვება და ე. წ. შავი — „პატრიოტული" რაზმების შექმნა. თბილისში ასეთ რაზმს ხუცესი გოროდცევი ხელმძღვანელობდა. ეს რაზმი დიდ დახმარებას უწევდა ცარიზმს. მთავრობა აიარაღებდა მას და ამხედრებდა ადგილობრივ მცხოვრებთა წინააღმდეგ, რომლებსაც მეფის ჩინოვნიკები „ტუზემცებს" უწოდებდნენ. ახასიათებდა რა შავრაზმელთა დამარბეველ საქმიანობას, ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა: „სხვადასხვა ერის ინტერესთა დაპირისპირებაზე, ბნელი და დაბეჩავებული მასების შეგნების მოწამვლაზეა აგებული შავრაზმელების მთელი ანგარიში". ხუცეს გოროდცევის შავმა რაზმმა მართლაც დიდი უბედურება დაატეხა თავს თბილისის მოსახლეობას. ეს რაზმი ყოველდღე სცემდა და აწამებდა ადამიანებს. „პატრიოტები" გრძნობდნენ, რომ ხალხში ზიზღს იწვევდნენ, ამიტომ მეტ დახმარებას მოითხოვდნენ მთავრობისაგან. რეგულარული ჯარისა და პოლიციის მფარველობით მათ დიდუბეში მოაწყეს სპეციალური კრება, რომელზეც ვალდებულება იკისრეს „წესრიგი" დაემყარებინათ თბილისში. „პატრიოტებმა" სიტყვა მისცეს მთავრობას, რომ დაიჭერდნენ და ჟანდარმერიას გადასცემდნენ „სოციალისტური მოძრაობის ყველა მოთავეს". ამის შემდეგ კიდევ უფრო გაძლიერდა შავრაზმელთა დამარბეველი საქმიანობა. 2-3 დღის განმავლობაში მათ პოლიციისა და კაზაკების დახმარებით სცემეს ხალხს და დაჭრეს 30 კაცი. „ქუჩაში გამოსვლაც საშიში გახდა", — წერდა იმ დღეების შესახებ გაზეთი „პროლეტარიატის ბრძოლა".

აი ეს იყო იმის მიზეზი, რამაც 1905 წლის ივლისში თბილისის მუშათა მძლავრი გაფიცვა და მეფის მთავრობის საწინააღმდეგო პროტესტის დიდი ტალღა გამოიწვია. ივლისის გაფიცვა იყო თბილისის პროლეტარიატის მრისხანე პასუხი მეფის მთავრობის სისხლიანი ნაციონალისტური პოლიტიკისადმი.

ივლისის გაფიცვა მოამზადა თბილისის ბოლშევიკურმა ორგანიზაციამ, რომელსაც ი. ბ. სტალინი ხელმძღვანელობდა. ი. ბ. სტალინთან ერთად გაფიცვას ხელმძღვანელობდნენ მ. ცხაკაია, ს. სპანდარიანი და სხვები.

გაფიცვა უაღრესად ორგანიზებულად დაიწყო 1905 წლის 3 ივლისს და დამთავრდა 10 ივლისს. პირველად გაიფიცნენ თბილისის რკინიგზის სახელოსნოების მუშები. მათთან ერთად გამოვიდნენ ტრამვაისა და სტამბების მუშები, აგრეთვე ყველა კერძო ფაბრიკისა და ქარხნის მუშები. გაფიცვას მალე შეუერთდნენ ქალაქის გამგეობის მოსამსახურეები, ნოქრები, ქალაქის წყალსადენისა და ნავთის წერტებში მომუშავენი. გაფიცვამ საყოველთაო-სახალხო ხასიათი მიიღო.

გაფიცვის შესახებ გაზეთ „პროლეტარიატის ბრძოლაში" დაიბეჭდა სტატია, რომელშიც ვკითხულობთ: „ათი ათასმა პროლეტარმა ხელი აიღო თავის სამუშაოზე, მიატოვეს სახელოსნოები და ბზები და ორგანიზაციის მოწოდებისამებრ თავისი ძალა წინ დაუყენეს თვითმპყრობელობას! ყოველივე წარმოება შეჩერდა, შეწყდა ვაჭრობა. ქალაქის ქუჩები, რომლებზედაც წინათ შეუწყვეტელი ხმაურობა იყო, ახლა თითქო მომკვდარი, ისე მიწყნარებულია" (გაზ. „პროლეტარიატის ბრძოლა" № 9, 1905 წ. 1 (14) ივლისი).

გაფიცვის მეორე დღეს რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა გამოსცა „ბიულეტენი № 1", რომელშიც ჩამოყალიბებული იყო თბილისის პროლეტარიატის გაფიცვის მიზეზები, მიზნები და ამოცანები.

მშრომელთა მიტინგებზე, რომლებიც ივლისის გაფიცვის დროს ყველგან იმართებოდა, თბილისის მშრომელები იღებდნენ რეზოლუციებს, რომლებშიც მოითხოვდნენ შავრაზმული ორგანიზაციების დაშლას და განიარაღებას, ქალაქიდან კაზაკების გაყვანას, სამხედრო პატრულის მოხსნას, საყოველთაო სახალხო დამფუძნებელი კრების მოწვევას, სიტყვისა და პრესის თავისუფლებას.

გაფიცვის დღეებში თბილისის პროლეტარიატმა მოაწყო საპასუხო თავდასხმები ჯარისა და პოლიციის საგუშაგოებზე და ამ მიზნით პირველად მასობრივად იქნა გამოყენებული ყუმბარები („ბომბები"), ხელის გრანატები და სხვა სახეობის იარაღი. ასეთი თავდასხმა მოეწყო 5 ივლისს არტილერიის ქუჩაზე, 6 ივლისს ერთდროულად სალდათის ბაზართან, თათრის მოედანზე, ვორონცოვის ქუჩასა და ავლაბარში, 7 ივლისს ვერის დაღმართზე და სხვ. ამ თავდასხმების შედეგად მოკლულ იქნა პოლტავის პოლკის ორი ჯარისკაცი, მძიმედ დაიჭრა მე-6 უბნის ბოქაული, მისი თანაშემწე, უბნის ზედამხედველი და სხვ. ყუმბარების გამოყენებას თბილისის მუშებმა შემდეგ უფრო ფართოდ მოჰკიდეს ხელი. ამან მეფის მთავრობას აგრძნობინა, რომ თუ იგი ხელს არ აიღებდა მშვიდობიანი მოსახლეობის დარბევაზე, პროლეტარიატი კიდევ უფრო ძლიერ, შეუპოვარ და გადამწყვეტ ზომებს მიიღებდა.

თბილისის მუშების შეიარაღებულ ბრძოლას მაღალი შეფასება მისცა ვ. ი. ლენინმა. სტატიაში „სისხლისმღვრელი ბრძოლები მოსკოვში" ლენინმა აღნიშნა თბილისის მუშების მიერ „სახალხო იარაღის „ახალი" სახეობის — ყუმბარების ფართოდ გამოყენება, რამაც „დიდი პანიკა გამოიწვია კაზაკებსა და ჯარისკაცებში".

თბილისის პროლეტარიატის გმირულმა წინააღმდეგობამ მეფის მთავრობას მართლაც აგრძნობინა, რომ მუშათა კლასი სერიოზული ძალა იყო. მეფისნაცვლის ბრძანებით 9 ივლისს თბილისში სამხედრო მდგომარეობა გამოცხადდა, მაგრამ 10 ივლისს თბილისის მუშები წინასწარ დასახული გეგმით უკვე გამოცხადდნენ სამუშაოზე.

თბილისის მუშათა გაფიცვამ ფართო გამოხმაურება ჰპოვა როგორც საქართველოში, ისე მის ფარგლებს გარეთ. გაფიცვები მოხდა ბათუმში, ქუთაისში, გორში, ხაშურში, შორაპანში, ჭიათურაში, სოხუმში, თელავში და სხვაგან. გაფიცვას ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი რკინიგზის სადგურების მუშებმა თბილისიდან ბათუმამდე. ელისავეტპოლის (კიროვაბადი) მუშებმა საყოველთაო გაფიცვა გამოაცხადეს.

თბილისში ჩატარებული საყოველთაო გაფიცვის შესახებ რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა გაფიცვის მეორე დღეს წერილი გაგზავნა ლენინურ „პროლეტარში". ეს წერილი დაიბეჭდა 3 (16) აგვისტოს კავშირის კომიტეტის ხელმოწერით. წერილი არ იძლევა გაფიცვის მთელ სურათს, რამდენადაც მისი გაგზავნის მომენტში გაფიცვა მხოლოდ დაწყებული იყო, მაგრამ იგი ამ საკითხზე საყურადღებო ცნობებს შეიცავს. წერილში აღნიშნულია: „შავი რაზმების მიერ ინტელიგენციისა და მუშების ჟლეტის პოლიტიკას უკვე იყენებენ ჩვენთანაც, თბილისში. ჩვენმა „დამცველებმა" დარაზმეს და შეაიარაღეს ადგილობრივი ხულიგნები და ნაკლებად შეგნებული მუშები და მიუსიეს ისინი სტუდენტებს და შეგნებულ მუშებს. დაიწყო ველური ანგარიშსწორება... იმისათვის, რომ ბოლო მოეღოს ამ მხეცობას და უხამსობას, რსდმპ თბილისის კომიტეტმა მოწოდებით მიმართა მუშებს და საზოგადოებას — მოაწყონ საყოველთაო გაფიცვა..."

თბილისის მუშები დაუყოვნებლივ გამოეხმაურნენ პარტიული ორგანიზაციის მოწოდებას და ღირსეული პასუხი გასცეს მეფის მთავრობის ანტიხალხურ პოლიტიკას. თბილისელი მუშების მიერ 1905 წლის ივლისში ორგანიზებული საყოველთაო გაფიცვა, რომელიც მთელი საქართველოს პროლეტარიატის გაფიცვად გადაიქცა, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ბრწყინვალე დემონსტრაცია იყო. იგი ამავე დროს იყო საქართველოს მუშათა კლასის საბრძოლო გამოცდა.

შემდეგში საქართველოს მშრომელებმა კიდევ უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღეს რევოლუციურ მოძრაობაში, კიდევ უფრო მაღლა აღმართეს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დროშა.

**გ. სიხარულიძე,**
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

# გავაძლიეროთ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა მინდვრად

5 ივლისს გაზეთ „კომუნისტის" რედაქციამ პარტიის წითელწყაროს რაიკომთან ერთად მოიწვია წითლის მტს-ის ზონაში მომუშავე აგიტატორების, აგიტპუნქტებისა და აგიტკოლექტივების ხელმძღვანელების და პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნების თათბირი მოსავლის აღების პერიოდში მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის საკითხების განსახილველად.

თათბირზე მოხსენება „მოსავლის აღება და აგიტატორთა ამოცანები" გააკეთა პარტიის წითელწყაროს რაიკომის მდივანმა წითლის მტს-ის ზონაში ნ. მორდვინოვმა. აზრთა გაცვლა-გამოცვლაში მონაწილეობა მიიღეს აგიტატორმა ბ. რობიტაშვილმა, წითლის მტს-ის პარტორგანიზაციის მდივანმა ი. მანგოშვილმა, პარტიის წითელწყაროს რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ მ. ხაბაშვილმა, ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ცენტრალურ კალოსთან არსებული საველე აგიტპუნქტის გამგემ ვ. სტეფანცოვამ, აგიტატორმა ი. პოგორელოვმა, სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობის პარტორგანიზაციის მდივანმა გ. დალაქიშვილმა, ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის აგიტკოლექტივის ხელმძღვანელმა ზ. გელაშვილმა, აგიტატორმა ნ. ერმაკოვმა და სხვებმა.

თათბირმა დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი მინდვრად სააგიტაციო-მასობრივი მუშაობის უკეთ მოწყობისათვის.

ვბეჭდავთ თათბირის მასალებს.

## მთავარი ამოცანა

რაიკომის მდივნის ნ. მორდვინოვის მოხსენებიდან

მარცვლეულის მეურნეობა სოფლის მეურნეობის საფუძველი, მეცხოველეობის აღმავლობის უმნიშვნელოვანესი პირობაა. სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმმა ჩვენი ქვეყნის მშრომელებს ამოცანად დაუსახა უახლოეს წლებში მარცვლეულის ყოველწლიური წარმოება აიყვანონ 10 მილიარდ ფუთამდე.

რაიონის მშრომელები, მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად, თავდადებით მუშაობენ ამ ამოცანის განსახორციელებლად.

წითლის მტს-ის ზონის კოლმეურნეობებში მარცვლეულის უხვი მოსავალი დამწიფდა. ამჟამად ჩვენი მთავარი ამოცანაა სწრაფად და უდანაკარგოდ ავიღოთ მოსავალი, პირნათლად შევასრულოთ სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარების ვალდებულება.

წითლის მტს-ისა და მისი ზონის კოლმეურნეობების პარტიულმა ორგანიზაციებმა განახორციელეს პრაქტიკული ღონისძიებანი მოსავლის აღების პერიოდში პოლიტიკური აგიტაციის გასაძლიერებლად. კომბაინის აგრეგატებზე გამოყოფილი არიან აგიტატორები, კოლმეურნეობათა კალოებზე მოწყობილია საველე აგიტპუნქტები. ისინი მომარაგებულია ყველა აუცილებელი სააგიტაციო მასალით, კულტურული გასართობებით, მუსიკალური ინსტრუმენტებით. ზოგან რადიომიმღებიც აქვთ. მოწყობილია განათება ღამით მუშაობისათვის. აგიტატორებს ყოველდღიურად ეძლევათ ჟურნალ-გაზეთები, დამხმარე ლიტერატურა. შესვენების დროს ეწყობა გაზეთის ხმამაღლა კითხვა, რადიოს კოლექტიური მოსმენა, იმართება ლექციები, მოხსენებები, ეწყობა მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივების გამოსვლები. კალოებზე უკვე გაიმართა 12 ლექცია, ხუთჯერ მოეწყო რაიონის კულტურის სახლის მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივის გამოსვლა. მინდვრად მშრომელთა მომსახურებისათვის მოწყობილია დატარებითი ვაჭრობა. სპეციალური მანქანით კალოებზე მიაქვთ პროდუქტები, გამაგრილებელი წყლები, ლუდი, პაპიროსი და სხვ.

ამას წინათ წითლის მტს-ის დელეგაცია იყო ყუბანში მედვედოვსკის მტს-ში, რომელთანაც სოციალისტურ შეჯიბრებაში ვართ ჩაბმული. ჩვენი წარმომადგენლები გაეცნენ ყუბანელი მეგობრების მიღწევებს, მათი შრომის მოწინავე მეთოდებს. ამჟამად დელეგაციის წევრები კოლმეურნეებთან და მექანიზატორებთან აწყობენ საუბრებს და უზიარებენ მედვედოვსკის მტს-ში მიღებულ შთაბეჭდილებებს. მოეწყო საუბრები შემდეგ თემებზე: „დისპეტჩერული სამსახური მედვედოვსკელ მექანიზატორებთან", „შრომის ორგანიზაცია მედვედოვსკის ზონის კოლმეურნეობებში" და სხვ.

მოსავლის აღების პირველი დღეებიდანვე კომბაინის აგრეგატების კოლექტივებს შორის გაჩაღდა სოციალისტური შეჯიბრება მოსავლის ათ დღეში და უდანაკარგოდ აღებისათვის. ამ თაოსნობის წამომწყებია ჩვენი მტს-ის № 13 კომბაინის აგრეგატის მოწინავე კოლექტივი.

მექანიზატორები და კოლმეურნეები გადაჭარბებით ასრულებენ ნაკისრ ვალდებულებებს. კომბაინერმა ა. ბეგიაშვილმა მოსავალი 224 ჰექტარზე აიღო, შ. მოსეშვილმა — 210 ჰექტარზე, მ. დარჩიაშვილმა — 186 ჰექტარზე და სხვ. რაციონალიზატორმა კომბაინერმა გ. ჭუაძემ თავის აგრეგატზე მუშაობა ისე მოაწყო, რომ ნამჯა ავტომატურად იცლება.

ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ მოსავლის აღების პერიოდში ჩვენ სათანადოდ ვერ ვიყენებთ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ყველა ფორმას. ნაკლები ყურადღება ექცევა თვალსაჩინო აგიტაციას. მცირე რაოდენობით არის პლაკატები, ლოზუნგები, დიაგრამები. ცოტა გვაქვს ლიტერატურა სოფლის მეურნეობის მოწინავეთა შესახებ. რაიაღმასკომის კულტურის განყოფილება საველე კალოებზე ხშირად ისეთ კინოსურათებს უჩვენებს, რომლებიც ვერ აკმაყოფილებს მშრომელთა მოთხოვნილებებს.

წითლის მტს-ისა და მისი ზონის კოლმეურნეობათა პარტიული ორგანიზაციების, აგიტპუნქტებისა და ყველა აგიტატორის მოვალეობაა შემდგომ გააძლიერონ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა, უფრო მჭიდროდ დარაზმონ კოლმეურნეები და მექანიზატორები მოსავლის სწრაფად და უდანაკარგოდ აღებისათვის.

## აგიტაციის ძალა

აგიტატორ ბ. რობიტაშვილის სიტყვიდან

აგიტატორად გამოყოფილი ვარ პირველ სატრაქტორო ბრიგადაში, რომელიც სოფელ ჯაფარიძის კოლმეურნეობას უწევს მომსახურებას. ბრიგადის წევრებს გავაცანი პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებანი. ამავე დროს მათთან ყოველდღიურად ვსაუბრობ გეგმებისა და ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობაზე, ვაცნობ ჩვენი მტს-ის მოწინავე მექანიზატორების მუშაობის გამოცდილებას. ეს ხელს უწყობს ბრიგადის წევრთა აქტივობის ზრდას, მათ დაინტერესებას, პასუხისმგებლობის ამაღლებას. ასეთი საუბრების შემდეგ ბრიგადის წევრებმა ი. თარაშვილმა, მ. ივანჩენკომ, თ. გოგიაშვილმა და სხვებმა უკეთ მოაწყეს შრომა და ბრიგადა მოწინავეთა რიგებში ჩადგა.

პირველი სატრაქტორო ბრიგადა მოსავლის აღებისათვის დროულად მოემზადა, ვადამდე ორი თვით ადრე შეაკეთა იარაღ-მანქანები. მოსავლის აღების დაწყების წინ ერთხელ კიდევ შემოწმდა აგრეგატების მზადყოფნა. ამ საკითხებზე მოვაწყე საუბრები. მაგრამ ამით როდი დავკმაყოფილდი. საჭიროდ ჩავთვალე ბრიგადაში მომეწყო კოლმეურნეობის ზოოტექნიკოსის გ. დალაქიშვილის საუბარი მეცხოველეობის მტკიცე საკვები ბაზის შექმნის შესახებ.

ამას წინათ ბრიგადის წევრებს ვესაუბრე სიმინდის ორი მოსავლის მოყვანის მნიშვნელობაზე, გავაცანი ნაწვერალზე თესვის დავალებანი. ბრიგადამ დროულად მოხნა ნაწვერალი და უკვე დათესილია 80 ჰექტარი სიმინდი. იგი კარგად აღმოცენდა, დაწყებულია პირველი კულტივაცია.

ახლა ყოველი დღე, ყოველი საათი და წუთი ძვირფასია. მთელი მონდომებით გავაჩაღებთ სააგიტაციო მუშაობას და ხელს შევუწყობთ მოსავლის შემჭიდროებულ ვადებში აღებას.

## ყოველდღიურად ვიმუშაოთ მექანიზატორებთან

წითლის მტს-ის პარტორგანიზაციის მდივნის ი. მანგოშვილის სიტყვიდან

ჩვენი პარტორგანიზაციის საბრძოლო ამოცანაა მინდვრად მექანიზატორებთან მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის საუკეთესოდ მოწყობა. თუ მექანიზატორები მაღალნაყოფიერად მუშაობენ, წარმატებაც არის. პარტიული ორგანიზაცია სათავეში ჩაუდგა სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაჩაღების საქმეს, ამაღლა კომუნისტების ავანგარდული როლი.

ამის შედეგად მტს-მა დავალებანი დიდი გადაჭარბებით შეასრულა. მაგალითად, მექანიზატორებმა გაზაფხულზე 1.614 ჰექტარი სიმინდი დათესეს ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 700 ჰექტარისა. კულტივაცია ჩატარებულია 7.644 ჰექტარზე. გეგმა კი 6.000 ჰექტარს ითვალისწინებდა. დაზოგილია ათობით ტონა საწვავი.

მტს-ის კოლექტივს დაწვრილებით გავაცანით მედვედოვსკელი მექანიზატორების გამოცდილება და გაჩაღდა ბრძოლა ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებისათვის. ამ საკითხებზე პარტიულმა ორგანიზაციამ იმსჯელა და დასახა სათანადო ღონისძიებანი. დროულად განვიხილეთ მოსავლის აღებისათვის მზადების, მოსავლის აღების პერიოდში სააგიტაციო-მასობრივი მუშაობის საკითხები.

კომუნისტები გ. დოლიძე, შ. მოსეშვილი, ი. ბელიაკინი შრომის ავანგარდში დგანან. ეს განსაკუთრებით გამოვლინდა მოსავლის აღების დღეებში. ისინი გადაჭარბებით ასრულებენ შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს.

პარტიული ორგანიზაცია სისტემატურად ამოწმებს სააგიტაციო-მასობრივ მუშაობას მინდვრად, დაუყოვნებლივ ასწორებს შემჩნეულ ნაკლოვანებებს. პარტიული ორგანიზაცია კიდევ უფრო გააძლიერებს მუშაობას მექანიზატორებთან, რათა წარმატებით შეასრულონ მოსავლის აღებისა და პურის დამზადების დავალებანი.

## გადაუდებელი საქმე

პარტიის წითელწყაროს რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მ. ხაბაშვილის სიტყვიდან

ახლა მინდვრად ვის არ აინტერესებს საქართველოს კომბაინის აგრეგატების კოლექტივებს შორის სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორის გ. დოლიძის მუშაობა?

ამის შესახებ ყველა სიამოვნებით ისმენს საუბრებს. სწორედ აგიტატორის სიტყვამ პატრიოტული ცეცხლით აღაგზნო გამარჯვების მტს-ის კომბაინერი რ. ჯავახიშვილი, რომელმაც განაცხადა:

— გ. დოლიძე გამოცდილი კომბაინერია, შეჯიბრების ინიციატორია, მაგრამ მას მაინც უნდა გავუსწროთ!

მართლაც, თუ ერთი დღის მაჩვენებელს ავიღებთ, 3 ივლისს რ. ჯავახიშვილმა 46 ჰექტარი მომკა, ხოლო გ. დოლიძემ — 45. აგიტატორები თავიანთი ცოცხალი, ცხოვრებასთან მჭიდროდ დაკავშირებული საუბრებით ხელს უწყობენ მექანიზატორებსა და კოლმეურნეებს შორის სოციალისტური შეჯიბრების ფართოდ გაჩაღებას. გამარჯვების მტს-იდან ი. აფშინაშვილმა მომკა 34 ჰექტარი, გალეწა 500 ცენტნერი. 4 ივლისს ასეთივე შედეგები ჰქონდა კომბაინერ დათუკიშვილს.

ეს ყველაფერი კარგია. მაგრამ ნაკლოვანებანიც გვაქვს. ზოგან აგიტატორები სუსტად იბრძვიან დანაკარგების წინააღმდეგ. ამას მოწმობს ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობის მაგალითი. მომკილი ნაკვეთის 10 კვადრატულ მეტრ ფართობზე აქ აუღებელი აღმოჩნდა 10-12 თავთავი.

პარტიის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებამ კოლმეურნეებისა და მექანიზატორების მომსახურებისათვის მინდვრად გაგზავნა რაიონის კულტურის სახლის მხატვრული თვითმოქმედების კოლექტივი, რომელიც კალოებზე აწყობს კონცერტებს. დღემდე ვერ მოვახერხეთ მოგვეწყო კონცერტები ყველა კოლმეურნეობასა და კალოზე.

## საველე აგიტპუნქტში

აგიტპუნქტის გამგის ვ. სტეფანცოვას სიტყვიდან

მოსავლის აღების პერიოდში მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში წინასწარ შედგენილი გეგმით მიმდინარეობს. ცენტრალურ კალოზე მოწყობილია საველე აგიტპუნქტი. იგი მორთულია სურათებით, ლოზუნგებით, დიაგრამებით, მომარაგებულია მხატვრული, პოლიტიკური, სასოფლო-სამეურნეო ლიტერატურით. ყოველდღიურად მოდის ახალი ჟურნალ-გაზეთები.

თავისუფალ დროს აგიტპუნქტში იკრიბებიან მექანიზატორები და კოლმეურნეები, კითხულობენ წიგნებს, ჟურნალ-გაზეთებს, ისმენენ აგიტატორთა საუბრებს, ერთობიან ჭადრაკის, შაშის, დომინოს თამაშით. საღამოობით ვუჩვენებთ კინოფილმებს, ვმართავთ კონცერტებს. კოლმეურნე ახალგაზრდობის ძალებით კალოზე მოეწყო 2 კონცერტი.

აგიტატორები მსმენელებს განუმარტავენ ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენებას, რომელიც მან პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმზე გააკეთა, და ამ მოხსენების გამო პლენუმის მიერ მიღებული ისტორიული დადგენილების შინაარსს.

აგიტატორებმა უკვე 21 საუბარი მოაწყეს. განსაკუთრებით კარგად მუშაობენ აგიტატორები მ. ოვსიანიკოვი და ი. პოგორელოვი. ისინი საუბრებს მჭიდროდ უკავშირებენ ცხოვრებას, ადგილობრივ საკითხებს.

საველე აგიტპუნქტის მთელი საქმიანობა მიმართულია იქითკენ, რომ ხელი შეუწყოს მოსავლის სწრაფად და უდანაკარგოდ აღებას.

უნარიანად მოწყობილი ახსნა-განმარტებითი მუშაობით აგიტპუნქტი ცდილობს მოსავლის აღებაში ჩააბას სოფლის მთელი მოსახლეობა. კოლმეურნეებთან ერთად კალოზე ბეჯითად მუშაობენ სოფლის მოსწავლე ახალგაზრდები, რომლებსაც ახლახან დაეწყოთ საზაფხულო არდადეგები.

ჩვენს მუშაობაში არის ნაკლიც. კოლმეურნეებსა და მექანიზატორებს სურთ მოისმინონ ლექციები საერთაშორისო საკითხებზე. ჩვენ ადგილობრივი ძალებით არ შეგვიძლია დავაკმაყოფილოთ მათი ეს კანონიერი მოთხოვნა, ამავე დროს პარტიის რაიკომი ამ საქმეში სათანადოდ არ გვეხმარება.

## აღვკვეთოთ გაცდენები, დანაკარგები

აგიტატორ ი. პოგორელოვის სიტყვიდან

საუბარი ცოცხალი, საინტერესო და ქმედითი რომ იყოს, ვცდილობ იგი მჭიდროდ დავუკავშირო ცხოვრებას, ადგილობრივ საკითხებს. ამით ბრიგადის წევრების პოლიტიკური შეგნების ამაღლებასთან ერთად ვაღწევ მათი საწარმოო აქტივობის ზრდას. ყოველი ჩემი საუბრის მიზანია დავრაზმო მექანიზატორები სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის შეუფერხებელი მუშაობისა და სრული სიმძლავრით გამოყენებისათვის.

კომბაინების მინდვრად გასვლისთანავე ბრიგადის წევრებს შორის გავაჩაღე სოციალისტური შეჯიბრება მოსავლის შემჭიდროებულ ვადებში და უდანაკარგოდ აღებისათვის. ნაკისრ ვალდებულებას კარგად ასრულებს კომბაინერი ნ. ლეოშკო, რომლის აგრეგატმა უკვე 153 ჰექტარზე აიღო მოსავალი და 303 ტონა ხორბალი გალეწა. შეუფერხებლად მუშაობენ კომბაინერების ა. პედიკოვისა და ნ. შაპოვალოვის აგრეგატებიც.

მაგრამ ასე როდი ითქმის კომბაინერ ა. შმოილოვის შესახებ. მოსავლის აღების წინ მან ცუდად შეაკეთა მესამე აგრეგატი. ამის გამო კომბაინი მკის პირველსავე დღეებში დაზიანდა და მოცდა. ა. შმოილოვმა შემდეგშიც უპასუხისმგებლოდ განაგრძო მუშაობა. მისი უყურადღებობით კომბაინი გადაბრუნდა ფერდობზე მკის დროს და ზოგიერთი ნაწილი გაუფუჭდა. ცხადია, მე როგორც აგიტატორს არ შეიძლებოდა ყურადღება არ მიმექცია კომბაინერ ა. შმოილოვის მუშაობის ნაკლისათვის. სააგიტაციო საუბრის დროს აღვნიშნე, რომ კომბაინერი ა. შმოილოვი თავისი უდარდელობით ზიანს აყენებს საერთო საქმეს. რამდენჯერმე სპეციალურად ცალკე ვესაუბრე ა. შმოილოვს. მან შეიგნო თავისი შეცდომა და პირობა დადო ბეჯითად იმუშაოს, მოწინავე გახდეს. მართლაც, მის მუშაობას გაუმჯობესება დაეტყო.

ჩვენი სატრაქტორო ბრიგადა ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში მუშაობს. მექანიზატორებს გადაწყვეტილი აქვთ სწრაფად დაამთავრონ მოსავლის აღება.

## თათბირის ღონისძიებანი

აგიტატორებმა სისტემატურად განუმარტონ მშრომელებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შინაარსი, ფართოდ გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება პურეულის შემჭიდროებულ ვადებში და უდანაკარგოდ აღებისათვის;

ფართოდ გააცნონ მექანიზატორებს მოწინავე კომბაინერების გ. დოლიძის, მ. დარჩიაშვილის, ნ. ლეოშკოს და გ. ჭუაძის მიღწევები და მუშაობის მეთოდები;

გააძლიერონ აღმზრდელობითი მუშაობა ჩამორჩენილ მექანიზატორებთან და კოლმეურნეებთან, რომლებიც არღვევენ შრომის დისციპლინას, აამაღლონ მათი შეგნებულობის დონე;

ყოველდღიურად გააცნონ კოლმეურნეებსა და მექანიზატორებს მოსავლის აღების, პურის დამზადებისა და სახელმწიფო გეგმების შესრულების მიმდინარეობა;

მედვედოვსკის მტს-ის გამოცდილების გაცნობის მიზნით მოეწყოს კოლმეურნეებთან და მექანიზატორებთან შეხვედრა იმ ამხანაგებისა, რომლებიც ამას წინათ იყვნენ მედვედოვსკის მტს-ში.



სურათზე: წითლის მტს-ის ზონის აგიტატორთა თათბირი მოსავლის აღების დღეებში მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის მოწყობის საკითხებზე. მოხსენებას აკეთებს რაიკომის მდივანი წითლის მტს-ის ზონაში ამხ. ნ. მორდვინოვი.

ფოტო შ. გოქაძისა.

# საერთაშორისო მიმოხილვა

## ჟენევის თათბირის წინ

ოთხი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების ჟენევის მომავალი თათბირი მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრშია. ასეულ მილიონობით ადამიანი დიდ იმედს ამყარებს თათბირზე და გამოთქვამს სურვილს, რომ მიუხედავად არსებული უთანხმოებისა, ჟენევის თათბირი დამთავრდეს წარმატებით, რომ მან შეანელოს საერთაშორისო დაძაბულობა, განამტკიცოს ნდობა სახელმწიფოთა ურთიერთობაში და განახორციელოს სხვადასხვა პოლიტიკური წყობილების მქონე სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპი.

ხალხებს, რომლებსაც მძიმე ტვირთად აწევთ „ცივი ომი", გამალებული შეიარაღება, საბჭოთა კავშირმა მისცა არაერთი თვალსაჩინო დამამტკიცებელი საბუთი, რომ მას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი მიაღწიოს მეგობრულ თანამშრომლობას ყველა სახელმწიფოსთან და ამით მოსპოს შეშფოთების არსებული კერები. „მსოფლიო საზოგადოებრივი აზრი, — ნათქვამია მშვიდობის მსოფლიო ასამბლეის მიმართვაში, რომელიც ამას წინათ მიმდინარეობდა ჰელსინკში, — ამხედრდა ძალის პოლიტიკის წინააღმდეგ, სამხედრო ბლოკების, გამალებული შეიარაღებისა და ატომური ომის მრისხანე საფრთხის წინააღმდეგ". ხალხთა ეს მტკიცე მოთხოვნა დასაყრდენს პოულობს საბჭოთა სახელმწიფოს სამშვიდობო პოლიტიკაში, რომელიც თავისი კონსტრუქციული მოქმედებით გზას უკაფავს დასავლეთის სახელმწიფოებთან შეთანხმებას მთელ რიგ საკვანძო საერთაშორისო პრობლემებზე.

ბურჟუაზიული პრესის ბევრი ორგანო იძულებულია აღიაროს, რომ ძალებმა, რომლებიც იბრძვიან ქვეყნების მშვიდობიანი თანაარსებობისათვის, გამალებული შეიარაღების შეწყვეტისათვის და ახალი ომის თავიდან აცილებისათვის, ახლა გაადიდეს თავიანთი გავლენა. კაპიტალისტური სამყაროს ყველა ქვეყანაში ეხმაურებიან მშვიდობის მსოფლიო ასამბლეას. მიმდინარეობს მშვიდობისმოყვარე ძალების შემდგომი დარაზმვა. სულ უფრო მკაფიოდ გამოხატულ პოლიტიკურ ხასიათს იღებს საგაფიცვო მოძრაობა, რომელიც ფართოდ გაჩაღდა კაპიტალისტურ ქვეყნებში. მშრომელი მასები სულ უფრო მტკიცედ მოითხოვენ „ცივი ომის" შეწყვეტას. და ეს მძლავრი მოძრაობა, „შინაგანი ზეგავლენა", როგორც უცხოეთის პრესა უწოდებს მას, გარკვეულ ზემოქმედებას ახდენს დასავლეთის ქვეყნების მმართველ წრეებზე.

ინგლისური გაზეთი „მანჩესტერ გარდიანი" დასავლეთის დიპლომატიას მოუწოდებს მეტი მოქნილობა გამოიჩინოს ჟენევაში, რათა ხელი შეუწყოს თათბირის მონაწილეთა პოზიციების დაახლოებას ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხებში, როგორიც არის განიარაღება და გერმანიის ერთიანობა. „ჟენევაში წასვლა, — წერს გაზეთი, — იმისათვის, რომ იქ გაიმეორონ ძველი გაცვეთილი წინადადებანი, შეცდომა იქნებოდა". ასეთივე შეცდომა იქნებოდა, აღნიშნავს უცხოეთის ზოგიერთი გაზეთი, ეცადონ, რომ ჟენევის თათბირზე გადაწყვეტილებანი მიიღონ დიქტატის საშუალებით, ყბადაღებულ „ძალის პოზიციაზე" დაყრდნობით. მოცლილ ადამიანთა მონაჩმახი საბჭოთა კავშირის ვითომდა „სისუსტის" შესახებ, რაღაც „სიძნელეთა" შესახებ, რომლებსაც თითქოს განიცდიდეს საბჭოთა კავშირი, მხოლოდ ილუზიაა, რომელმაც შეიძლება ცუდი სამსახური გაუწიოს დასავლეთის დიპლომატიას.

ამავე დროს ასეთი ილუზიები ჯერ კიდევ წარმოადგენენ შთაგონების წყაროს ამერიკელი სენატორის ნოულენდის ტიპის ზოგიერთი შუბლმაგარი პოლიტიკური მოღვაწისათვის, რომლებიც აშკარად მოუწოდებენ „გადაჭრით მიიტანონ იერიში" ჟენევაში საბჭოთა კავშირზე, ევროპის სახალხო დემოკრატიის ქვეყნებზე.

ჟენევის თათბირის წარმატების უზრუნველყოფისადმი განსაკუთრებულ მისწრაფებას არ იჩენენ აგრეთვე დასავლეთის ის კაპიტალისტური წრეები, რომლებიც უშუალოდ დაინტერესებული არიან გამალებული შეიარაღებით და მიაჩნიათ, რომ ყოველი წინადადება განიარაღების შესახებ უშუალოდ ემუქრება მათს ინტერესებს. ეს წრეები, როგორც ამერიკის გაზეთი „ჩიკაგო სან ენდ ტაიმსი" აღნიშნავს, „ილაშქრებენ არა მარტო საბჭოთა წინადადებების წინააღმდეგ განიარაღების შესახებ, არამედ აგრეთვე საერთოდ განიარაღების წინააღმდეგ, ყოველგვარი ღონისძიების წინააღმდეგ, რომელიც კი გამოიწვევდა გამალებული შეიარაღების შენელებას".

ძალებს, რომლებიც წინააღმდეგობას უწევენ საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის შენელებას, სრულიადაც არ დაუყრიათ იარაღი. მაგრამ ახლანდელ პირობებში ამ ძალებს სულ უფრო უძნელდებათ აშკარად მოქმედება.

ახლანდელი საერთაშორისო ვითარება შეიცავს საჭირო წანამძღვრებს იმისათვის, რომ ოთხი მთავრობის მეთაურთა თათბირი წარმატებით დამთავრდეს. „ამ თათბირს, — ამბობდა ვ. მ. მოლოტოვი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საიუბილეო სესიაზე სან-ფრანცისკოში, — დიდი მნიშვნელობა ექნება, თუ მისი ყველა მონაწილე ნამდვილად გამოიჩენს მისწრაფებას საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის შენელებისადმი, მომწიფებული პრობლემების მოწესრიგებისა და მშვიდობის განმტკიცებისადმი".

საბჭოთა კავშირმა ბევრჯერ დაამტკიცა, რომ ესწრაფვის სხვადასხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური სისტემების მქონე სახელმწიფოთა მშვიდობიან თანაარსებობას. საკითხი ის არის, რომ ასეთივე მისწრაფება და ასეთივე მზადყოფნა გამოიჩინონ სხვა სახელმწიფოებმაც, რომლებიც წარმოდგენილი იქნებიან ჟენევის თათბირზე.

## გერმანიის დემოკრატიული ერთიანობისათვის

გერმანიის ფედერალური რესპუბლიკის მთავრობისადმი 7 ივნისის ნოტაში საბჭოთა მთავრობა აღნიშნავდა, რომ საბჭოთა კავშირსა და გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკას შორის ნორმალური ურთიერთობის დამყარება და განვითარება ხელს შეუწყობს მოუწესრიგებელი საკითხების გადაჭრას, რომლებიც მთელ გერმანიას შეეხება, და ამან ხელი უნდა შეუწყოს გერმანელი ხალხის მთავარი საერთოეროვნული პრობლემის გადაჭრას — გერმანიის დემოკრატიული სახელმწიფოს ერთიანობის აღდგენას.

სწორედ ეს ამოცანა — გერმანიის ერთიანობის აღდგენა დემოკრატიულ საფუძველზე — დაისახა საბჭოთა კავშირმა პირველი დღიდანვე, როგორც კი წარმოიშვა გერმანიის პრობლემა, რომელიც გამოიწვია დასავლეთის სახელმწიფოების სეპარატულმა მოქმედებამ. საბჭოთა კავშირის პოზიცია გერმანიის საკითხში, რომელიც შეესაბამება ევროპის ყველა ხალხის, მათ შორის გერმანელი ხალხის სასიცოცხლო ინტერესებს, უცვლელია. „... ჩვენ წინათაც და ახლაც მხარს ვუჭერთ, — განაცხადა ევროპის მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის საკითხთა ევროპის სახელმწიფოების მოსკოვის თათბირზე ნ. ა. ბულგანინმა, — ერთიანი გერმანიის, როგორც თავისუფალი, მშვიდობისმოყვარე და დემოკრატიული სახელმწიფოს აღდგენას. საბჭოთა კავშირის პოლიტიკა გერმანიის საკითხში კვლავაც დაფუძნებული იქნება ამ ძირითად დებულებებზე".

დასავლეთის ქვეყნებში ცალკეული პოლიტიკური მოღვაწეებისა და პრესის ორგანოების ამ ბოლო დროს შემჩნეული ცდები — დაამახინჯონ საბჭოთა კავშირის პოზიცია გერმანიის საკითხში ან დაარწმუნონ საზოგადოებრივი აზრი, რომ სსრ კავშირს თითქოს „აღარ აინტერესებს გერმანიის გაერთიანება", ისახავს მიზნებს, რომლებსაც საერთო არა აქვს რა არც საქმის ნამდვილ მდგომარეობასთან, არც გერმანელი ხალხის ჭეშმარიტ ინტერესებთან. ეს დეზინფორმაცია გერმანიის გათიშვის მომხრეებს იმისათვის დასჭირდათ, რომ ევროპის საზოგადოებრიობის ყურადღება ჩამოაშორონ დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაციას, რომელიც სულ უფრო ვითარდება, რაც, როგორც ცნობილია, გერმანიის სახელმწიფოს ეროვნული ერთიანობის აღდგენის მთავარი დაბრკოლებაა.

გარკვეული ძალები, რომლებიც დასავლეთ გერმანიაში მოქმედებენ, ახლა, ჟენევის თათბირის წინ, იჩქარიან განახორციელონ პარიზის შეთანხმებანი რაინზე მილიტარისტული ბანაკის შექმნის შესახებ და ამით დაასწრონ გერმანიის საკითხის სამართლიანი დემოკრატიული გადაჭრის შესაძლებლობას. დასავლეთ გერმანიის მილიტარისტული პრესა მოითხოვს, რომ დასავლეთ გერმანიის ხელახლა შეიარაღების ტემპი განუწყვეტლივ ძლიერდებოდეს. სავულისხმოა ამ შემთხვევაში ქრისტიან დემოკრატთა კავშირის — ქრისტიანთა სოციალური კავშირის პარტიის ბიულეტენის „დოიჩლანდ-უნიონდინსტის" გამოსვლა. ბიულეტენი დაჟინებით მოითხოვს, რომ ბუნდესტაგში ეგრეთწოდებული „კანონი მოხალისეთა შესახებ", რომელიც ითვალისწინებს დასავლეთ გერმანიაში კადრის ჯარის ნაწილების შექმნას, მიღებულ იქნეს ჯერ კიდევ პარლამენტის არდადეგებამდე, რაც 18 ივლისს იწყება, ე. ი. ჟენევის თათბირის გახსნამდე.

მაგრამ გერმანიის დემოკრატიული ერთიანობის მოწინააღმდეგეთა პოლიტიკა სულ უფრო მზარდ დაბრკოლებას ხვდება და, უწინარეს ყოვლისა, თვით დასავლეთ გერმანიაში, რომლის საზოგადოებრიობა ილაშქრებს რემილიტარიზაციის წინააღმდეგ და ემხრობა საბჭოთა კავშირთან ნორმალური ურთიერთობის დამყარებას. დასავლეთ გერმანიის საზოგადოებრიობის მოძრაობამ ფედერალური რესპუბლიკის შეიარაღებისა და სამხედრო ბლოკებში მისი მონაწილეობის წინააღმდეგ ისეთი ფართო გასაქანი მიიღო, რომ უკიდურესი მემარჯვენე ელემენტებიც კი ცდილობენ შეეწყონ ამ მოძრაობას. ოტო შტრასერიც კი მოითხოვს, რომ დასავლეთი გერმანია განთავისუფლდეს პარიზის შეთანხმებათაგან.

დასავლეთ გერმანიის ბურჟუაზიული პრესა დაჟინებით მოითხოვს, რომ ჟენევის თათბირის წინ დაბრკოლებები არ შეუქმნან გერმანიის საკითხის საქმიან განხილვას. გაზეთი „ვესტფელიშე რუნდშაუ" გმობს „იარაღის უდროო ჩხარუნს", რაც გამოიხატება იმით, რომ გამალებით ქმნიან ვერმახტს, რასაც „შეუძლია ზიანი მოუტანოს გერმანიის საკითხის გადაჭრის საქმეს".

საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის ნორმალიზაციის პერსპექტივა, რაც გზას უხსნის გერმანიის ერთიანობის აღდგენას, დასავლეთ გერმანიის მოსახლეობას სულ სხვადასხვა წრის ყურადღებას იპყრობს. გერმანიის პრობლემის გადაჭრის საბჭოთა პროგრამა ამ წრეებში სულ უფრო მეტ აღიარებასა და მხარდაჭერას პოულობს.

## დედათა მსოფლიო კონგრესი

7 ივლისიდან შვეიცარიაში, ლოზანაში, მუშაობს დედათა მსოფლიო კონგრესი, რომელიც მოწვეულია ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის ინიციატივით. კონგრესზე წარმოდგენილია მსოფლიოს მრავალი ქვეყანა, რომელთა ხალხები შეშფოთებული არიან ახალი ომის საფრთხით და იბრძვიან განიარაღებისათვის და ხალხთა შორის მეგობრობისათვის.

დედათა მსოფლიო კონგრესი ბავშვთა დაცვის, მშვიდობისათვის, მოზარდი თაობის ბედნიერებისათვის ბრძოლის კონგრესია. იგი აერთიანებს სხვადასხვა სოციალური მდგომარეობისა და სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულების ქალებს, რომლებიც ერთსულოვანი მისწრაფებით არიან გამსჭვალულნი. ისინი გააერთიანა დედობრივი სიყვარულის ძალამ, მგზნებარე სურვილმა — უზრუნველყონ ბავშვთა ბედნიერი ცხოვრება.

ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღე, რომელიც 1 ივნისს აღინიშნა, იყო დღე ქალთა მობილიზაციისა, რომლებმაც გააჩაღეს აქტიური მზადება ლოზანის კონგრესისათვის. შესრულებულ იქნა დიდი მოსამზადებელი მუშაობა, ამოძრავდნენ მილიონობით დედები, რომლებსაც სძულთ ომი და სწყევლიან მას. სპეციალური კომიტეტები აგროვებდნენ ლოზანაში გამგზავრებისათვის საჭირო სახსრებს. დელეგატებს შორის არიან ქალები, რომლებიც საზოგადოების პატივისცემითა და ნდობით სარგებლობენ.

ინგლისის დელეგაციაში შედის მუშა გრეის ენრაიტი, სამი შვილის დედა. იმ ქარხნის პროფკავშირის წევრებმა, სადაც იგი მუშაობს, შეაგროვეს ფული ლოზანაში გასამგზავრებლად. გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დელეგატებს შორის არის ტელმანის ცოლი — როზა ტელმანი. ინდოეთის რესპუბლიკის დელეგაციას, რომელშიც შედიან საზოგადო მოღვაწეები, მასწავლებლები, მწერლები, ხელოვნების მოღვაწეები, მეთაურობს ინდოეთის ქალთა ეროვნული ფედერაციის მდივანი.

პირველად ისტორიაში სულ სხვადასხვა ქვეყნის წარგზავნილნი შეხვდნენ ერთმანეთს, რათა განიხილონ საკითხები, რომლებიც მათ აღელვებს და შეიმუშაონ ახალი ომის საფრთხისაგან ბავშვთა დაცვის საერთო პროგრამა. დედათა მსოფლიო კონგრესი ერთხელ კიდევ ცხადყოფს მშვიდობის ძალების განუწყვეტელ ზრდას, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს კაცობრიობის შემდგომი ბედისათვის. დედები შეიტანენ თავიანთ ძვირფას წვლილს ხალხთა ბრძოლაში მშვიდობიანი ცხოვრების უზრუნველყოფისათვის, ხალხთა კოლექტიური უშიშროებისათვის.

თავიანთი დელეგაცია გაგზავნეს ლოზანაში საბჭოთა ქალებმაც. დელეგატებს შორის არიან დედები, რომლებმაც თავის თავზე გამოსცადეს ომის საშინელებანი და დაკარგეს შვილები ომში. მათი ხმა დედათა მსოფლიო კონგრესზე გამოხატავს სიძულვილს ომისადმი და მგზნებარე მისწრაფებას — უზრუნველყონ ბავშვებისათვის მშვიდი და სამშვიდო ცხოვრება.

დედათა მსოფლიო კონგრესი ლოზანაში ყველა ქვეყნის ქალთა მჭიდროდ დარაზმვის კონგრესია, მშვიდობისათვის მებრძოლთა აურაცხელი არმიის ერთ-ერთი უდიდესი რაზმის გაძლიერების კონგრესია.

ვ. ლინეცკი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ერთობლივი კომუნიკე

## ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა

პეკინი, 8 ივლისი. (საკდესი). პეკინში გამოქვეყნდა „ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ერთობლივი კომუნიკე“, რომელსაც ხელი მოაწერეს 1955 წლის 7 ივლისს.

კომუნიკეში ნათქვამია:

„როცა ჩინეთში იმყოფებოდა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია პრეზიდენტ ხო ში მინის მეთაურობით, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია იმ პრინციპების საფუძველზე, რომლებიც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის თავმჯდომარემ მაო ძე-დუნმა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ხო ში მინმა დაადგინეს, აწარმოებდნენ მოლაპარაკებას პეკინში 27 ივნისიდან 7 ივლისამდე.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ: ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერი ჯოუ ენ-ლაი, პრემიერის მოადგილენი ჩენ იუნი და დენ სიაო-პინი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილენი ჯან ვენ-ტიანი და ვან ძია-სიანი, მშენებლობის საქმეთა სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარე ბო ი-ბო, რკინიგზების მინისტრი ტენ დაი-იუანი, საგარეო ვაჭრობის მინისტრი ე ძი-ჯუანი, უმაღლესი განათლების მინისტრი იან სიუ-ფინი.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მხრივ მოლაპარაკებაში მონაწილეობდნენ: ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი ხო ში მინი, ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური მდივანი ტრუონგ ჩინი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრი ლე ვან ხიენი, მრეწველობისა და ვაჭრობის მინისტრი ფან ანი, განათლების მინისტრი ნგუენ ვან ქსუენი, სოფლის მეურნეობისა და მეტყევეობის მინისტრი ნგუენ ქსუან იემი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე უნგ ვან ქიემი, პრეზიდენტის კანცელარიის უფროსი მინისტრის მოადგილის რანგით ნგუენ დუი ტრინი, ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მოადგილე ფამ ნგოკ თხაჩი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ხოანგ ვან ხოანი.

მოლაპარაკების მსვლელობაში ორივე მხარემ განიხილა საკითხები, რომლებიც საერთო ინტერესს წარმოადგენენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკისათვის, აგრეთვე საკითხები, რომლებსაც სერიოზული მნიშვნელობა აქვთ თანამედროვე საერთაშორისო ვითარებაში. ორივე მხარემ მოლაპარაკების დროს კმაყოფილებით აღნიშნა, რომ მუშაობა ჯარების კონცენტრაციისა და ხელახალი დისლოკაციისათვის, რაც ჟენევის თათბირმა განსაზღვრა, უკვე დამთავრებულია. ინდოჩინეთის საკონტროლო და სამეთვალყურეო სამი სახელმწიფოს საერთაშორისო კომისიამ, რომელიც შექმნილია ინდოეთის, პოლონეთისა და კანადის წარმომადგენლებისაგან ინდოეთის წარმომადგენლის თავმჯდომარეობით, ჟენევის შეთანხმებათა შესრულებისადმი კონტროლისა და მეთვალყურეობის მსვლელობაში დიდმნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა. მოლაპარაკების მონაწილე ორივე მხარე იმედს გამოთქვამს, რომ მომავალში საკონტროლო და სამეთვალყურეო საერთაშორისო კომისია შეძლებს კვლავ შეასრულოს აქტიური როლი ჟენევის შეთანხმებათა სრული განხორციელების უზრუნველყოფის საქმეში.

მაგრამ ორივე მხარე ყურადღებას მიაქცევს აგრეთვე შემდეგს: ჟენევის შეთანხმებათა განხორციელების მსვლელობაში იყო დაბრკოლებები და დარღვევები, ხოლო ამჟამად წარმოიშვა ამ შეთანხმებათა დარღვევის ახალი საფრთხე.

მალე ჟენევის თათბირის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ, დაარღვია რა ჟენევის შეთანხმებანი, სამხრეთი ვიეტნამი, კამბოჯა და ლაოსი მოაქცია ეგრეთწოდებულ „თავდაცვის“ რაიონში მანილის ხელშეკრულების მიხედვით, აგრეთვე გააძლიერა სამხრეთ ვიეტნამის ადგილობრივი ჯარების შეიარაღება და გაწვრთნა, რათა სამხრეთ ვიეტნამი გადააქციოს ამერიკის შეერთებული შტატების კოლონიად და სამხედრო პლაცდარმად. ამჟამად ამერიკის შეერთებული შტატები კიდევ უფრო აქტიურად აბრკოლებენ კონსულტაციების მოწყობას ვიეტნამის საყოველთაო არჩევნების შესახებ და ცდილობენ ჩაფუშონ ვიეტნამში მშვიდობის განმტკიცებისა და ვიეტნამის გაერთიანების განხორციელების საქმე. ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობამ, დაარღვია რა ჟენევის შეთანხმებანი, ხელი მოაწერა კამბოჯასთან შეთანხმებას სამხედრო დახმარების შესახებ და, გარდა ამისა, ცდილობს ასეთი შეთანხმება დადოს ლაოსთან იმისათვის, რომ დაარღვიოს ლაოსისა და კამბოჯის ნეიტრალიტეტი და საფრთხე შეუქმნას მშვიდობის საქმეს ინდოჩინეთში. მოლაპარაკების მონაწილე ორივე მხარეს ერთსულოვნად მიაჩნია, რომ ასეთი მოქმედება, რომელიც არღვევს ჟენევის შეთანხმებებს, უნდა შეწყდეს, ხოლო ჟენევის შეთანხმებანი მთლიანად უნდა განხორციელდეს.

მთელი ვიეტნამის საყოველთაო არჩევნების გზით ვიეტნამის მშვიდობიანი გაერთიანების შესახებ ჟენევაში მიღწეული შეთანხმების შესაბამისად ვიეტნამის ორივე ნაწილის კომპეტენტურმა ხელისუფლებმა 1955 წლის 20 ივლისს უნდა დაიწყონ კონსულტაციები საყოველთაო არჩევნების საკითხზე, რათა 1956 წლის ივლისში ინდოეთის, პოლონეთისა და კანადის წარმომადგენლებისაგან შემდგარი საერთაშორისო კომისიის კონტროლით მოეწყოს თავისუფალი საყოველთაო არჩევნები და განხორციელდეს მთელი ვიეტნამის გაერთიანება. ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი კვლავ კეთილსინდისიერად განახორციელოს ჟენევის შეთანხმება და უკვე გამოაცხადა, რომ მზად არის სამხრეთ ვიეტნამის კომპეტენტურ ხელისუფლებთან განიხილოს საკითხები, რომლებიც საყოველთაო არჩევნებს შეეხება.

მოლაპარაკების მონაწილე ორივე მხარე დაადგა ერთსულოვან აზრს, რომ ჟენევის თათბირის მონაწილე ქვეყნები პასუხისმგებელი არიან ჟენევის შეთანხმებათა განხორციელების უზრუნველყოფისათვის. ორივე მხარე სავსებით და მთლიანად ეთანხმება მოწოდებას, რომელიც 1955 წლის 22 ივნისს წამოყენებულ იქნა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარისა და ინდოეთის პრემიერ-მინისტრის ერთობლივ განცხადებაში, სახელდობრ, რომ ყველა მთავრობამ, რომლებზეც დამოკიდებულია შეთანხმებათა პირობების შესრულება, ყოველივე შესაძლებელი უნდა გააკეთოს მათი ვალდებულებების შესრულებისათვის, რათა შეთანხმებათა მიზნები მთლიანად იქნას მიღწეული, და რომ იქ, სადაც პოლიტიკური მოწესრიგების წანამძღვრის სახით უნდა მოეწყოს არჩევნები, დაინტერესებულმა მთავრობებმა იხმარონ ღონისძიებანი შეთანხმებათა პირობების სრული განხორციელებისათვის. მოლაპარაკების მონაწილე ორივე მხარე ღრმად დარწმუნებულია, რომ ვიეტნამელი ხალხის ღონისძიებებს ჩრდილოეთისა და სამხრეთის ორმხრივ მოლაპარაკებაში და თავისუფალი საყოველთაო არჩევნების მოწყობაში ვიეტნამის გაერთიანების მიზნით აუცილებლად ყოველნაირად დაუჭერს მხარს ყველა მშვიდობისმოყვარე და ჟენევის შეთანხმებათა მომხრე სახელმწიფო და ხალხი.

აზიისა და აფრიკის ქვეყნების კონფერენციამ, რომელსაც ისტორიული მნიშვნელობა აქვს, მოგვცა სხვადასხვა სოციალური სისტემების მქონე სახელმწიფოთა შეთანხმებული მუშაობის მაგალითი. მოლაპარაკების მონაწილე ორივე მხარე კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ დღითიდღე იზრდება აზიისა და აფრიკის ქვეყნების კონფერენციის გავლენა. მოლაპარაკების მონაწილე ორივე მხარე მხურვალედ უჭერს მხარს მთელ რიგ დიდმნიშვნელოვან ნაბიჯებს, რომლებიც საბჭოთა კავშირმა, ინდოეთმა და სხვა მშვიდობისმოყვარე სახელმწიფოებმა გადადგეს ამ ბოლო დროს და რომლებიც ხელს უწყობს მშვიდობის საქმის განვითარებას. მშვიდობისმოყვარე ქვეყნებისა და ხალხების მეცადინეობის მეოხებით არის საერთაშორისო დაძაბულობის შენელების ნიშნები. მაგრამ ახალი ომის საფრთხე ჯერ კიდევ არ აღმოფხვრილა. დაძაბული საერთაშორისო ვითარება ჯერ კიდევ ძირეულად არ გაუმჯობესებულა და ზოგიერთი დიდი სახელმწიფოს ხელმძღვანელი მოღვაწენი ჯერ კიდევ არ იღებენ ხელს თავიანთ ეგრეთწოდებულ „ძალის პოზიციის პოლიტიკაზე“. ორივე მხარეს მიაჩნია, რომ „ძალის პოზიციის პოლიტიკა“, რომლის საფუძველია სამხედრო ბლოკების შექმნა, სამხედრო ბაზების მშენებლობა, გაძლიერებული შეიარაღება და ომის პროპაგანდა, მთლიანად ეწინააღმდეგება მთელი მსოფლიოს ხალხთა საერთო მისწრაფებას, რომლებიც იბრძვიან მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და კოლექტიური უშიშროებისათვის.

მოლაპარაკების მონაწილე ორივე მხარე კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ მშვიდობიანი თანაარსებობის ხუთ პრინციპს აღიარებს და იზიარებს სულ უფრო მეტი სახელმწიფო. ორივე მხარეს მიაჩნია, რომ საერთაშორისო ურთიერთობაში ურთიერთნდობის დამყარება, საერთაშორისო ვითარების დაძაბულობის შენელება და ქვეყნებს შორის მეგობრული თანამშრომლობის განვითარება დამოკიდებულია იმაზე, რომ მსოფლიოს ქვეყნებმა საყოველთაოდ და ფართოდ მიიღონ ეს პრინციპები როგორც მათი ურთიერთობის სახელმძღვანელო პრინციპი.

ორივე მხარე აცხადებს, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასა და ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკას სურთ მშვიდობიანი თანაარსებობის ხუთი პრინციპის შესაბამისად ნორმალური და მეგობრული ურთიერთობა დაამყარონ ყველა ქვეყანასთან, განსაკუთრებით კეთილმეზობლური ურთიერთობა დაამყარონ მეზობელ სახელმწიფოებთან.

ჩინელი ხალხი და ვიეტნამელი ხალხი თავიანთი ეროვნული განთავისუფლებისათვის ბრძოლის მსვლელობაში მუდამ დიდად თანაუგრძნობდნენ და მხარს უჭერდნენ ერთმანეთს. ამჟამად ჩინელი ხალხი იბრძვის იმისათვის, რომ დაიცვას თავისი სამშობლოს სუვერენიტეტი და ტერიტორიული მთლიანობა, გაათავისუფლოს თავისი ტერიტორია — კუნძული ტაივანი. ვიეტნამელი ხალხი ამჟამად იბრძვის მშვიდობისმოყვარე, ერთიანი, დამოუკიდებელი, დემოკრატიული, აყვავებული და ძლიერი ახალი ვიეტნამის შექმნისათვის, რათა გააერთიანოს ვიეტნამი სამხრეთსა და ჩრდილოეთს შორის მოლაპარაკებისა და თავისუფალი არჩევნების გზით. მოლაპარაკების მონაწილე ორივე მხარე სავსებით თანაუგრძნობს და მხარს უჭერს სამართლიან ბრძოლას, რომელსაც ეწევიან ჩინელი ხალხი და ვიეტნამელი ხალხი, აგრეთვე ღრმად სწამთ ის, რომ მათი ბრძოლა აუცილებლად გამარჯვებით დაგვირგვინდება.

ორივე მხარეს ერთსულოვნად მიაჩნია, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობა ხელს შეუწყობს ორივე ქვეყნის ხალხთა ღონისძიებებს მშვიდობიანი მშენებლობის საქმეში.

რათა დაეხმაროს ვიეტნამელ ხალხს, რომ მან მოიშუშოს ხანგრძლივი ომით მიყენებული ჭრილობები, აღადგინოს და განავითაროს სახალხო მეურნეობა, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ გადაწყვიტა აუნაზღაურებლად გადასცეს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას 800 მილიონი იუანი. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობა ამ ფულად სახსრებს აძლევს, რათა დაეხმაროს ვიეტნამს, რომ მან შეაკეთოს და აღადგინოს რკინიგზები, სამდინარო ნავმისადგომები და გზატკეცილთა ხიდები, აგრეთვე აღადგინოს ძველი და ააშენოს ახალი საფეიქრო ფაბრიკები, ტყავეულის ქარხნები, სამედიცინო მოწყობილობის, ელექტრომოწყობილობის, სასოფლო-სამეურნეო იარაღების, ქაღალდისა და სხვა საწარმოები. ორივე მხარე აგრეთვე ერთსულოვნად შეთანხმდა, რომ მათი სახელმწიფოები განახორციელებენ ყოველმხრივ ტექნიკურ თანამშრომლობას. ჩინეთი დახმარებას გაუწევს ქარხნების, რკინიგზების, გზატკეცილების, ხიდებისა და სხვ. დაპროექტებასა და მშენებლობაში, რომელთა აღდგენა და ახლად აგება ვიეტნამს საჭიროდ მიაჩნია, აგრეთვე გაგზავნის ვიეტნამში ტექნიკურ პერსონალს. ამავე დროს ვიეტნამი გაგზავნის თავის მუშებს ჩინეთში წარმოების ზოგიერთ დარგში სასწავლად.

იმისათვის, რომ ხელი შეუწყონ ორივე ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარებას და ხალხთა ცხოვრების გაუმჯობესებას, ორივე მხარე შეთანხმდა აგრეთვე თანასწორუფლებიანობისა და ურთიერთსარგებლობის პრინციპის საფუძველზე თანდათან გააფართოონ ურთიერთვაჭრობა.

ჩინელ და ვიეტნამელ ხალხებს შორის ისტორიის მანძილზე არსებობდა ხანგრძლივი ტრადიციული კულტურული კავშირი. კულტურის, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის დარგში თანამშრომლობის შემდგომი გაფართოების მიზნით, გამოცდილების ურთიერთგაზიარებისა და ერთმანეთისაგან სწავლის მიზნით ორივე მხარე ერთსულოვნად შეთანხმდა, აწარმოონ კულტურული დელეგაციებისა და სტუდენტების ურთიერთგაცვლა, ლიტერატურისა და მასალების გაცვლა. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა თავის მხრივ ვიეტნამში გაგზავნის ტექნიკურ პერსონალს და საჩუქრად აძლევს ვიეტნამს მასალებსა და აპარატურას კულტურული მიზნებისათვის, განათლებისა და ჯანმრთელობის დაცვის მიზნებისათვის, რათა დაეხმაროს ვიეტნამელი ხალხის საქმიანობას ამ დარგებში. ორივე მხარეს ერთსულოვნად მიაჩნია, რომ ორივე სახელმწიფოს ხალხთა კულტურული კავშირურთიერთობის გაძლიერება სამსახურს გაუწევს ამ ორი ხალხის მჭიდრო მეგობრობის შემდგომ განმტკიცებასა და განვითარებას.

მოლაპარაკების მონაწილე ორივე მხარეს ღრმად სწამს, რომ ეს მოლაპარაკება, რომელიც გულწრფელობისა და ერთსულოვნების ატმოსფეროში მიმდინარეობდა, არა მარტო ემსახურება ორივე ქვეყნის ხალხთა ერთიანობისა და მეგობრობის გაძლიერების ინტერესებსა და მათი სამართლიანი ბრძოლის ინტერესებს, არამედ ამასთანავე სამსახურს გაუწევს მშვიდობის შენარჩუნებისათვის მთელი მსოფლიოს ხალხთა ბრძოლის საერთო საქმის ინტერესებს“.

## ხელი მოაწერეს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ერთობლივ კომუნიკეს

პეკინი, 8 ივლისი. (საკდესი). როგორც პეკინის რადიო იუწყება, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის ყოფნის დროს, რომელსაც მეთაურობს პრეზიდენტი ხო ში მინი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობათა დელეგაციებს შორის 27 ივნისიდან 7 ივლისამდე წარმოებდა მოლაპარაკება, რომელიც დამთავრდა 7 ივლისს ერთობლივი კომუნიკეს ხელმოწერით.

კომუნიკეს ხელი მოაწერეს: ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სახელით — ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა და პრემიერ-მინისტრმა ხო ში მინმა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის სახელით — ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს პრემიერმა ჯოუ ენ-ლაიმ.

## ულან-ბატორში ჩავიდა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია

ულან-ბატორი, 8 ივლისი. (საკდესი). დღეს ულან-ბატორში ჩამოვიდა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია პრეზიდენტ ხო ში მინის მეთაურობით, რომელიც საბჭოთა კავშირში მიემგზავრება. ულან-ბატორის აეროდრომზე დელეგაციას შეხვდნენ მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი ი. ცედენბალი, დიდი სახალხო ჰურალის პრეზიდიუმის თავმჯდომარე ჟ. სამბუ, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი დ. დამბა, მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ლხამსურუნი, პრემიერ-მინისტრის მოადგილეები ლუბსანი და მაიდარი, მინისტრები, საზოგადოებრიობისა და პრესის წარმომადგენლები. ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციას შეხვდნენ აგრეთვე სსრ კავშირის დროებითი საქმეთა რწმუნებული მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში ს. ს. დაშიანი, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკისა და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩები მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში და აღნიშნული საელჩოების პასუხისმგებელი თანამშრომლები. ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის შესახვედრად ჩამწკრივებული იყო საპატიო ყარაული და შესრულებულ იქნა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკისა და ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო ჰიმნები.

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკაში ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის ჩამოსვლის გამო ულან-ბატორში გაიმართა მშრომელთა მიტინგი. მიტინგზე მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ცედენბალმა. საპასუხო სიტყვა მიტინგზე წარმოთქვა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტმა ხო ში მინმა.

საღამოს ი. ცედენბალმა დარბაზობა გამართა ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად.

## დედათა მსოფლიო კონგრესზე

ლოზანა, 8 ივლისი. (საკდესის სპეც. კორ.). გუშინ საღამოს ხანმოკლე შესვენების შემდეგ დედათა მსოფლიო კონგრესმა მუშაობა განაახლა. გამოვიდნენ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის, ავსტრალიის დელეგატები.

კონგრესის პრეზიდიუმის წინადადებით შეიქმნა ჯანმრთელობის დაცვის, განათლებისა და აღზრდის, კულტურისა და პრესის, ბავშვთა დაცვის საკითხთა კომისიები.

საღამოს სხდომის დასასრულს კონგრესზე გამოაქვეყნეს ცნობილი თურქი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის ნაზიმ ჰიქმეთის მისასალმებელი წერილი, რომელსაც კონგრესის დელეგატები მქუხარე ტაშით შეხვდნენ.

# ერთობლივი დეკლარაცია

## იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტისა და ინდოეთის პრემიერ-მინისტრისა

ბელგრადი, 8 ივლისი. (საკდესი). მოლაპარაკების დამთავრების შემდეგ იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტმა იოსიპ ბროზ-ტიტომ და ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ჯავაჰარლალ ნერუმ ხელი მოაწერეს ერთობლივ დეკლარაციას, რომელშიც, კერძოდ, ნათქვამია:

ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ჯავაჰარლალ ნერუმ 30 ივნისიდან 7 ივლისამდე ოფიციალური ვიზიტი გაუკეთა იუგოსლავიის ფედერაციულ სახალხო რესპუბლიკას და ამით უპასუხა იმ ვიზიტს, რომელიც 1954 წლის დეკემბერში ინდოეთს გაუკეთა იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტმა იოსიპ ბროზ-ტიტომ.

ვიზიტის დროს იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის პრეზიდენტი და ინდოეთის რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრი აწარმოებდნენ მოლაპარაკებას, რომლის მსვლელობაშიც მოხდა აზრთა ფართო გაცვლა როგორც საერთაშორისო მდგომარეობის საერთო განვითარებაზე, ისე ორივე ქვეყნის ურთიერთობაზე. ამ მოლაპარაკებამ, რაც გულითადობის ატმოსფეროში მიმდინარეობდა, ცხადყო შეხედულებათა იდენტურობა ყველა განხილულ საკითხზე.

„რესპუბლიკის პრეზიდენტმა და პრემიერ-მინისტრმა, — ნათქვამია შემდეგ დეკლარაციაში, — დაადასტურეს, რომ უკანასკნელ დროს საერთო საერთაშორისო მდგომარეობა გაუმჯობესდა, მიუხედავად იმისა, რომ არის ტენდენციები, რომლებიც აძნელებენ ასეთ განვითარებას. მათ დაადასტურეს, რომ ძლიერდება მისწრაფება გადაიჭრას საერთაშორისო პრობლემები მოლაპარაკებისა და საერთაშორისო შეთანხმების გზით, რამაც უკვე მოიტანა ზოგი დიდმნიშვნელოვანი შედეგი. ეს მისწრაფება გამოიხატა აზიისა და აფრიკის ქვეყნების კონფერენციით ბანდუნგში, ავსტრიის სახელმწიფო ხელშეკრულების ხელმოწერით, განიარაღების საკითხზე შეხედულებათა შესამჩნევი დაახლოებით, ბელგრადში იუგოსლავია-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკების მსვლელობით და მოსკოვში ინდოეთ-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკებით, აგრეთვე სან-ფრანცისკოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ათი წლისთავის გამო გამართული საიუბილეო სესიით. არსებობს სერიოზული იმედი, რომ საფრანგეთის, ინგლისის, სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობათა მეთაურების მომავალი შეხვედრა გამსჭვალული იქნება ამავე სულისკვეთებით და ახალ წვლილს შეიტანს საერთაშორისო მდგომარეობის გაუმჯობესების საქმეში“.

„საერთაშორისო ურთიერთობაში სულ უფრო მეტი ნდობისა და თანამშრომლობის ატმოსფეროს შექმნა, — აღნიშნულია დეკლარაციაში, — უზრუნველყოფს გადაუჭრელი საერთაშორისო პრობლემებისა და მსოფლიოში უშიშროების დამყარების კონსტრუქციული გადაწყვეტის უფრო ფართო შესაძლებლობებს. განიარაღებისა და ატომური შეიარაღების აკრძალვის საკითხს ეფექტიანი საერთაშორისო კონტროლის პირობებში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ფართო საერთაშორისო თანამშრომლობის გზით შეიძლება მივაღწიოთ მნიშვნელოვან შედეგებს მშვიდობიანი მიზნით ატომის ენერგიის გამოყენების დარგში და ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა ექნება ჟენევის მომავალ კონფერენციას მშვიდობიანი მიზნით ატომის ენერგიის გამოყენების საკითხებზე.

ნაკლებად განვითარებული ქვეყნების განვითარების პრობლემას უდიდესი მნიშვნელობა აქვს როგორც თვით ნაკლებად განვითარებული ქვეყნების ინტერესებისათვის, ისე მთლიანად საერთაშორისო ეკონომიკისა და მთელი მსოფლიოს მშვიდობის ინტერესებისათვის, და ამიტომ იგი მოითხოვს კონკრეტულ და ეფექტიან ღონისძიებებს საერთაშორისო თანამშრომლობის გზით. ყოველგვარი წარმატება ამ პრობლემის და ყველა დანარჩენი გადაუჭრელი საერთაშორისო პრობლემის გადაჭრაში გააადვილებს საერთაშორისო მდგომარეობის გაუმჯობესების პროცესს. განსაკუთრებული მნიშვნელობა, კერძოდ, აქვს გერმანიის საკითხსა და ტაივანის საკითხს, რომელთა მშვიდობიანი გადაჭრა ახალ შესაძლებლობას შეუქმნის მშვიდობისმოყვარულ განვითარებასა და თანამშრომლობას მთელ მსოფლიოში.

გაუმჯობესებული საერთაშორისო პირობები მოითხოვენ და ამავე დროს შესაძლებელს ხდიან გაძლიერდეს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის როლი საერთაშორისო ცხოვრებაში. იმისათვის, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ შეძლოს წარმატებით შეასრულოს ასეთი როლი, საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, მივაღწიოთ მის უნივერსალობას იმ გზით, რომ აღიარებულ იქნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენლობის კანონიერი უფლებები და მიღებულ იქნას ამ ორგანიზაციის წევრად ყველა სახელმწიფო, რომელიც აკმაყოფილებს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მოთხოვნებს.

რესპუბლიკის პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი გამოთქვამენ კმაყოფილებას იმის გამო, რომ ვითარდება პოლიტიკური თანამშრომლობა მათ ქვეყნებს შორის. ხელმძღვანელობენ რა თავიანთ ურთიერთობაში საერთაშორისო თანამშრომლობისა და მშვიდობიანი აქტიური თანაარსებობის პრინციპებით, რომლებიც ჩამოყალიბებული იყო მათს პირველ ერთობლივ განცხადებაში, ინდოეთმა და იუგოსლავიამ მიაღწიეს ურთიერთ დაახლოებას და დაამყარეს გულთბილი მეგობრობის ურთიერთობა, რომელიც გამოხატავს მათი ხალხების გრძნობებს. რესპუბლიკის პრეზიდენტმა და პრემიერ-მინისტრმა სურვილი გამოთქვეს აწარმოონ ორივე ქვეყანას შორის დამყარებული მეგობრობის სულისკვეთებით აზრთა პერიოდული გაცვლა აქტუალურ პოლიტიკურ საკითხებზე.

რესპუბლიკის პრეზიდენტმა და პრემიერ-მინისტრმა განიხილეს ორივე ქვეყნის ეკონომიური ურთიერთობა და მივიდნენ დასკვნამდე, რომ საქონელგაცვლის მოცულობა არ შეესაბამება მათს მჭიდრო ურთიერთობას. საჭიროა ორივე ქვეყანა უკეთ გაეცნოს ერთმანეთის ეკონომიკას სავაჭრო და ეკონომიური თანამშრომლობის განვითარების მიზნით. ამ მიზნით მხარეებმა მიაღწიეს შეთანხმებას, რომ რაც შეიძლება მალე გაცვალონ ეკონომიური მისიები, რომლებიც გამოარკვევენ შესაძლებლობებს და შეიმუშავებენ ეკონომიური თანამშრომლობის კონკრეტულ ღონისძიებებსა და ფორმებს. მათ მიაღწიეს აგრეთვე შეთანხმებას განავითარონ ორივე ქვეყანას შორის ურთიერთთანამშრომლობა მეცნიერებისა და ტექნიკის დარგში.

რესპუბლიკის პრეზიდენტი და პრემიერ-მინისტრი აგრეთვე შეთანხმდნენ, რომ ორივე ქვეყნის მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა უზრუნველყოფს კულტურული თანამშრომლობის ფართო შესაძლებლობას. ეს თანამშრომლობა კეთილსასურველად ვითარდება და ამით ხელს უწყობს ურთიერთგაცნობასა და დაახლოებას. მათ მიაღწიეს შეთანხმებას, რომ მათი ქვეყნები ყოველ ღონეს იხმარენ კულტურული თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმის განვითარებისათვის“.

## ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ჯ. ნერუ იტალიაში

რომი, 8 ივლისი. (საკდესი). იტალიური პრესის ცნობებით, გუშინ იტალიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ანტონიო სენიმ მიიღო იტალიაში ოფიციალური ვიზიტით ამჟამად მყოფი ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ჯ. ნერუ. როგორც აღნიშნულია ოფიციალურ კომუნიკეში, სენიმ და ნერუმ აზრები გაუზიარეს ერთმანეთს თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობის ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემებზე და განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს ორივე ქვეყნის ურთიერთობას.

შემდეგ ჯ. ნერუმ ინახულა იტალიის საგარეო საქმეთა მინისტრი მარტინო. როგორც ანსას სააგენტო იუწყება, საუბრის დროს „ორმა სახელმწიფო მოღვაწემ განიხილა იმ პრობლემათა ფართო წრე, რომლებიც განსაკუთრებულ ინტერესს იწვევენ პარიზის მოლაპარაკებისა და ჟენევის თათბირის წინ“.


ეროვნული ბიბლიოთეკა

თბომავალი „გრუზია“ სოხუმის ნავსადგურში.
ფოტო შ. ჩხეტიანისა

# სპორტის ამბები

## მოსკოვიდან გაემგზავრა ამერიკის შეერთებული შტატების მოჭადრაკეთა ნაკრები გუნდი

8 ივლისს მოსკოვიდან სტოკჰოლმს გაემგზავრა ამერიკის შეერთებული შტატების მოჭადრაკეთა ნაკრები გუნდი. აეროდრომზე სტუმრები გააცილეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტის ხელმძღვანელმა მუშაკებმა, საბჭოთა მოჭადრაკეებმა, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ ამერიკის შეერთებული შტატების გუნდთან გამართულ მატჩში, სსრ კავშირის საჭადრაკო სექციის ხელმძღვანელებმა, მოსკოვის საჭადრაკო საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა. (საკდესი).

## დამთავრდა მოსწავლეთა VII სპარტაკიადა

თბილისის სასპორტო ბაზებზე, ბათუმსა და ბორჯომში რამდენიმე დღეს გრძელდებოდა საქართველოს მოსწავლეთა VII სპარტაკიადა, რომელშიც მონაწილეობა მიიღო ჩვენი რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქებისა და რაიონების 1.700-მდე სპორტსმენმა.

კარგი მაჩვენებლებია მოპოვებული სროლაში, ტანვარჯიშში, კალათბურთში. სპარტაკიადის დღეებში მოსწავლე სპორტსმენებმა ახალი რეკორდები დაამყარეს.

პროგრამით გათვალისწინებულ სპორტის ყველა სახეობაში პირველი ადგილი ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის სპორტსმენებმა დაიკავეს.

სპარტაკიადაში მოპოვებული შედეგების მიხედვით შედგენილია საქართველოს მოსწავლე სპორტსმენთა ნაკრები გუნდები, რომლებიც ლესელიძეში, ბორჯომში და თბილისში 40-დღიანი შეკრების გავლის შემდეგ მონაწილეობას მიიღებენ მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადაში, რაც აგვისტოში კიევში გაიმართება.

## „ბ“ კლასის გუნდების ასპარეზობა

„ბ“ კლასის ფეხბურთელთა კოლექტივების ასპარეზობის პირველი წრე დასასრულს უახლოვდება.

დღეისათვის პირველ ზონაში ლიდერია კიშინიოვის „ბურევესტნიკი“, რომელსაც 13 თამაშიდან 17 ქულა აქვს.

მწვავე ბრძოლით ხასიათდება ასპარეზობა მეორე ზონაში. აქ ჩემპიონატის ლიდერი კვლავ თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდია, რომელსაც 13 თამაშიდან 20 ქულა აქვს. მეორე ადგილზეა ერევნის „სპარტაკი“ (12 თამაშიდან 18 ქულა).

რედაქტორი ნ. ჯაში.

### დღეს თბილისის თეატრებში

**ოპერისა და ბალეტის** — გედების ტბა (დილას), აიდა (საღამოს), **რუსთაველის სახელობის** — ხალისიანი მეგობრები (დილა-საღამოს), **მარჯანიშვილის სახელობის** — მოსამართლე მახეში (დილას), ნანა (საღამოს).

### კინოთეატრებში

**რუსთაველის სახელობის, ამირანი, ოქტომბერი, სპარტაკი, თბილისი, 26 კომისრის სახელობის, ისანი, პლეხანოვისა და ვოროშილოვის სახელობის კლუბები, ორჯონიკიძის სახელობის პარკი** — მოჯირითე ქალიშვილი, **ოფიცერთა სახლი, კიროვის სახელობის პარკი, გორკის სახელობის კულტურის სახლი, კომუნარების ბაღი** — ემირატის დამხობა, **კომკავშირელი, კოლხიდა** — შობის წინაღამე, **კოლხიდა (საზაფხულო)** — თეთრთოვლა, **ისანი (საზაფხულო)** — ისინი ხუთნი იყვნენ, **26 კომისრის სახელობის (საზაფხულო** — ვატერლოოს ხიდი, **დიდუბე** — ქარიშხალი (საზამთრო), რიო ესკონდიდო (საზაფხულო), **კოლმეურნე** — დაკარგული სამოთხე, **ძერჟინსკის სახელობის კლუბი** — სომხური კონცერტი.



### თბილისის „დინამოს“ სტადიონი

12 ივლისს

ფეხბურთი

სსრ კავშირის პირველობაზე

„ბ“ კლასი

„ტორპედო“ (სტალინგრადი)

ოფიცერთა სახლი (თბილისი)

დასაწყისი 18 ს. 30 წ.

### შეკვეთების ბიურო

თბილისის ცენტრალურ საქალაქო სადგურთან (ლენინის მოედანი № 7) 16 ივლისიდან აწარმოებს **რკინიგზის ბილეთების წინასწარ გაყიდვას და შინ მიტანას.**

ჯგუფური განაცხადები წარდგენილ უნდა იქნას 10 დღით ადრე, ინდივიდუალური მგზავრობისათვის კი შეკვეთები მიიღება მხოლოდ ტელეფონით (3-35-91, 3-36-22, 3-36-27, 3-63-81) და საფოსტო ღია ბარათებით 7 დღით ადრე.

**ამიერკავკასიის რკინიგზის სამგზავრო სამსახური.**

მოქალაქე **შალვა გრიგოლის-ძე მინდიაშვილმა**, მცხოვრებმა თოფურიძის ქუჩის მეორე შესახვევი № 3, აღძრა საქმე დასავლეთის ქ. № 28 მცხოვრებ **ქეთევან გრიგოლის ასულ ტატიშვილთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ლენინის რაიონის მესამე უბნის სახალხო სასამართლო.

### სსრ კავშირის ნავთის მრეწველობის თბილისის ნავთობის ტექნიკუმი

**სსრ კავშირის ნავთის მრეწველობის თბილისის ნავთობის ტექნიკუმი** აცხადებს 1955-56 სასწავლო წლისათვის მოსწავლეთა მიღებას ქართული სექტორის მესამე კურსზე სპეციალობით „ნავთობის და გაზის ჭაბურღილების ექსპლოატაცია“. სწავლის ხანგრძლივობაა ორი წელი და 6 თვე. ტექნიკუმში მიიღებიან სსრ კავშირის მოქალაქენი 30 წლის ასაკამდე, რომლებსაც დამთავრებული აქვთ საშუალო სკოლა. ტექნიკუმში ჩარიცხული მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით 360 მანეთის რაოდენობით თვეში. ფრიადოსნებს სტიპენდია მიეცემათ 25% დამატებით.

განცხადებები მიიღება ტექნიკუმის კანცელარიაში 31 ივლისამდე (ჩიტაძის ქუჩა № 9). მისაღები გამოცდები: ქართულ ენაში (ზეპირი), რუსულ ენასა და ლიტერატურაში (წერა) და მათემატიკაში (ზეპირი) 1955 წლის 1 აგვისტოდან 20 აგვისტომდე.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ტექნიკუმში ყოველდღე (გარდა კვირადღეებისა) დილის 9 საათიდან საღამოს 5 საათამდე.



მარჯვენა ნაპირის თბილკვებვაჭრობის მუშაკთა კოლექტივი იუწყება **სიმონ დავითის-ძე უუფარაძის** გარდაცვალებას.

შვილები ილია, ვარლამ, დარეჯან ოჯახებით იუწყებიან **ტერეზი პეტრეს ასულ არობელიძე-კილაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 12-VII ლანჩხუთში, გამოსვენება ტელმანის ქ. № 9.

მეუღლე პელო, შვილი ნანული, დედა რისიმე, დები ნადია, სონია, ვასასი, ვალენტინა, ქუქუნა, ძმები დომენტი, ეპიფანე ოჯახებით იუწყებიან **ვიქტორ ვლადიმერის-ძე მამალაძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 12, 13-VII, 8 ს. გამოსვენება 14-VII, 5 ს. შიო მღვიმელის ქ. № 6.

შვილები მარგო, სარა, საშა, ვართან, ჟორა ოჯახებით იუწყებიან **მანანა იაგორის ასულ კირაკოზოვის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 12-VII, 5 ს. ქ. თელავში, გამოსვენება მარქსის I შესახვევი № 2.

მეუღლე ალექსანდრე კანდელაკი, შვილი ქეთევან, ძმა დავით, და ნინო გაფრინდაშვილები ოჯახებით იუწყებიან ექიმ **ვარვარა ივანეს ასულ კანდელაკის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 10, 11-VII, 8 ს. გამოსვენება 12-VII, 6 ს. ორჯონიკიძის ქ. № 69.

მეუღლე გრიგოლ, ძმა ვლადიმერ, შვილები თეიმურაზ, ლადო ოჯახებით იუწყებიან **სალომე იოსების ასულ ხელაშვილის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 10-VII ქ. თელავში, გამოსვენება ერეკლე მეორის ქ. № 5.

**რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი:** თბილისი, ლენინის ქ. № 14. **ტელეფონები:** რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის — 3-08-67, ხამდივნოსი — 3-06-88, **ტელეფონები განყოფილებებისა:** პარტიული ცხოვრებისა და მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-81-84, მრეწველობისა და ტრანსპორტის, პრესის მიმოხილვის — 3-16-90, სოფლის მეურნეობის — 3-20-43, კულტურისა და ყოფაცხოვრების, ლიტერატურისა და ხელოვნების — 3-80-84, საბჭოთა მშენებლობის, კორესპონდენტთა ქსელისა და პარტბიუროსი — 3-57-61, ადგილობრივი და უცხოეთის ინფორმაციის — 3-80-83, წერილების — 3-73-24, განცხადებების მიღების — 3-51-81, გამომშვების — 3-81-65, გამომცემლობის დირექტორის — 3-65-41, სტამბის დირექტორის — 3-77-70. 2

უე 04153 პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.